# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№26 (1536) 17–20 მარტი, 1997 წელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვილის გვამი მამამ ოქროს კბილით იცნო

ბორჯომის გახმაურებული საქმე

3

## ალექსანდრე ჭაჭია:

ქართველი პოლიტიკოსების მიერ შექმნილი გეოპოლიტიკური ხაფანგიდან გამოსავლის ძებნა ჩვეულებრივ ორი პოლარული დასკვნით მთავრდება: „რუსეთი დაგვეხმარება“ ან „დასავლეთი გადაგვარჩენს“. ორივე საფუძველში მუქთახორათა ფსიქოლოგიაა.

4

აქა ამბავი იმისა, თუ როგორ შეაკლა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანს თავი საიათნოვამ, რომელიც 1801 წელს ბუნებრივი სიკვდილით მიცვალებულა?!.

3

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის.

## დავით კლდიაშვილი

„სამანიშვილის დედინაცვალი“

განხილვა

მეხუთე გვერდი

## საინტერესო დიალოგი

ფეხბურთის პრობლემებზე საუბრობენ:

გურამ ფანჯიკიძე და ნოდარ ახალკაცი

მომდევნო ნომერში

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

*აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ*

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ და, უკვე საბოლოოდ, აცხადებს, რომ აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში, გაეროს ეგიდით, რუსეთის შუამავლობით, შესაბამისად, დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოებისა და სამშვიდობო ძალებით წლების განმავლობაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაცია ჩიხში შევიდა, უპერსპექტივოა და, ამდენად, ჩაშლილია, რომლის დასტურია, ამ ტერიტორიების ფაქტობრივი მოკვეთის იურიდიული გაფორმების მცდელობა სეპარატისტული რეჟიმებისა და მათი წამქეზებლის – რეაქციული რუსეთის მხრიდან.

აღნიშნული ობიექტური, მაგრამ სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ყოვლად შეუწყნარებელი, რეალობის ასახვაა აფხაზეთიდან და ყოფილ სამხრეთ ოსეთიდან დევნილი, უმწეო, ასეულ ათასობით მოქალაქის მრავალი საპროტესტო გამოსვლა, რომელმაც თავისი კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვა საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთი“-ს შიმშილობის აქციაში.

ამ აქციის მონაწილეთა სამართლიანმა მოთხოვნებმა სოლიდარობა ჰპოვეს ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობაში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებში, პრაქტიკულად, საქართველოს მთელს მოსახლეობაში. მოშიმშილე დეპუტატების მოთხოვნები გაზიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ.

საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფოს ცხოველმყოფელობის ინტერესებიდან და კონსტიტუციიდან გამომდინარე, უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს რა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გავრცელებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, როგორც უწინარეს გარანტს დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობის მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დასაბრუნებლად,

ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილისა და 2 ოქტომბრის დადგენილებათა საფუძველზე, აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების პროცესი დსთ-ს ეგიდით მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების მეშვეობით, ჩაითვალოს საბოლოოდ ჩაშლილად.

2. აფხაზეთში დსთ-ს ეგიდით მყოფმა რუსეთის სამშვიდობო ძალებმა, აგრეთვე აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულმა ყველა სამხედრო შენაერთმა, უპირობოდ დატოვოს კონფლიქტის ტერიტორია.

3. საბოლოოდ ჩაშლილად ჩაითვალოს ყოფილ სამხრეთ ოსეთში სამხრივი სამხედრო ძალების სამშვიდობო მისია და მათ დატოვონ კონფლიქტის ტერიტორია.

4. საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებმა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა, საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს ეგიდით, 2 კვირის ვადაში შეიმუშაონ და პარლამენტს წარუდგინონ დასამტკიცებლად, შესაბამისად, სამშვიდობო, სამხრივი ძალებისა და სხვა სამხედრო შენაერთების გაყვანის გრაფიკი, რუსეთის ფედერაციის სათანადო სამსახურებთან შეთანხმებით, განსაზღვრონ საქართველოს სამშვიდობო ძალებით მათი ჩანაცვლების მექანიზმი საერთაშორისო მეთვალყურეობით და, აღნიშნულ ტერიტორიებზე უზრუნველყონ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა.

5. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიერ რუსეთ-საქართველოს შორის დადებული კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციამდე შეჩერდეს ამ ხელშეკრულების შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 იანვრის დადგენილების მოქმედება.

6. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს პროკურატურას, ბოლომდე მიიყვანოს ქართველთა ეთნოწმენდისა და გენოციდის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება; ამ ქმედებათა ორგანიზატორების, ინსპირატორებისა და სხვა მონაწილე პირთა მიმართ მიაღწიოს საერთაშორისო ტრიბუნალის გამართვას.

7. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, განსაზღვროს აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე აღმასრულებელი ხელისუფლების კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა.

8. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე მსჯელობა იქონიოს ყოველთვიურად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია

*პროექტი წარმოადგინეს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთი“-ს შიმშილობის აქციის მონაწილეებმა.*

ფრაქციის თავმჯდომარე,
აქციის ხელმძღვანელი
ბერმანე ფაცაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## პასუხგაუცემელი კითხვები, ანუ როცა სილაჩრე ცხადდება გონიერებად

*ეს წერილი ვიღაცამ კაბინეტში ბომბივით შემომიგდო და თვალიც ვერ ვკიდე, ისე უეცრად გაუჩინარდა. წესით ანონიმკა არ უნდა იბეჭდებოდეს, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა...*

ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, თქვენი გაზეთით შევიტყვეთ, რომ 19 კითხვა გაქვთ გაგზავნილი ვარდიკოსთან. ვინ იცის კიდევ რამდენი დაიტოვეთ უნუგეშოდ უპასუხოდ, რამდენადაც გაზეთიდან შევიტყვეთ, გენერალი, თავს (სად აქვს მერე) არიდებს პასუხებსო, ჰოდა რა მნიშვნელობა აქვს, 19 იქნება თუ 22 კითხვა, ამიტომ ჩვენს სახელზე ერთი მწუთხე კითხვაც სთხლიშეთ!

ბიუჯეტის კმაყოფაზე მყოფი სამინისტროს ცენტრალურ აპარატში რატომ აქვს კომერციული სამმართველო? და თუ აქვს და მას ევალება ჯარის მომსახურება და ჯარის გამოკვება, რატომ ყიდის მეზობელ ქვეყნებში ეროვნულ ბანკში „ნაყიდი“ გარანტიით ნაყიდ ხორბალს? მორჩათ თუ ასე ჰქონდათ ჩაფიქრებული? და თუ ყიდის, „ლევ“ მოგებას ყოფს თუ არა გარანტიის გამცემ ჯავახიშვილთან? თუ მან არ იცის რამდენს „ხსნიან“ ამ საქმეში და რას იხდიან გარანტიის მიღებაში – პასუხში წაეხმაროს „კომერციული სამმართველოს“ უფროსიც.

ამ კითხვის და პასუხის საფუძველიც შეგიძლიათ მოიძიოთ საბაჟო დეპარტამენტში. თქვენ ნახავთ, რომ ზემოთდასახელებულმა სამმართველომ მარტო დეკემბერში მიყიდა აზერბაიჯანულ ფირმას 3000 ტონამდე ხორბალი, ხოლო გარანტია ბანკში აქვთ, თუ გაჩვენეს... ისე კითხვის ნაწილს ჯავახიშვილიც თუ გასცემს პასუხს, ცუდი არ იქნება, იმ კონტექსტში ეკუთვნოდა თუ არა ასეთ სტრუქტურას ხორბლის შესაძენად საგარანტიო წერილი?

მას ხომ კარგად მოეხსენება, რომ სამხედროები ძირითადში გამომცხვარ პურს ყიდულობენ, რომ არმიას წისქვილები არ აქვს? რა შუაშია თავდაცვის სამინისტრო და ხორბლის ყიდვა-გაყიდვა? თუ ისე მეგობრულად მისცა? თუმცა „კომერციული სამმართველოს“ უფროსი გარკვეულ წრეებში ვარდიკოსთან და ნოდარისთან (თქვენთან არა) ძმაკაცობით ტრაბახობს. მოკლედ, კარგი ფული იშოვეს და დაანებონ მაინც თავი ერთმაც და მეორემაც ეროვნულ იდეალებზე და ანტიკორუფციაზე ხმამაღლა ლაპარაკს.

ჩვენ კი ინკოგნიტოდ იმიტომ გვინდა დავრჩეთ, რომ არ გვინდა ვარდიკომ „პაგონები“ დაგვახიოს, ოჯახები გვაქვს სარჩენი, თქვენ ველარ გვიშველით, გამოცდილი გვაქვს სიმართლის ხმამაღლა თქმის შედეგები... ისე კი თქვენ თუ არ გამოიყენებთ ამ კითხვებს, ჭორიკანა გაზეთების მეტი რა არის, იმათ მივცემათ და იმასაც დავაწერინებთ, რომ თქვენ ეს არ გამოიყენეთ... გვწამს, რო თქვენი გაზეთის დევიზის ერთგული ხართ.

სამხედროები

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის“ შიმშილობის აქცია

## საქართველოს ყველა დევნილს!

ორ კვირაზე მეტია, რაც მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთი“-ს შიმშილობის აქცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის სამხედრო ნაწილების დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაყვანის მოთხოვნით. უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენი ზნეობრივი აქტის ერთი უმთავრესი მიზანი მიღწეულია, – შევძელით მცირედი გაზაფხულის მოყვანა და ყინულმა ლღობა უკვე დაიწყო. ეს მცირედი გაზაფხული მთელ ნორმალურ სამყაროსაც გადაედო და დღეს თითქმის არავინ დარჩენილა შინ და გარეთ, ჩვენი მოთხოვნილების ჭეშმარიტება რომ არ ეღიარებინოს, მაგრამ ყველა, სავსებით სამართლიანად, საკუთრივ ქვეყნის ხელისუფალისა და ხელისუფალთაგან ელოდება იმგვარ მტკიცე პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენი საერთო ნების თანაზიარი იქნება და ასევე ყველას გა[illegible]წყობს ჩვენდამი და ჩვენი სახელმწიფოსადმი არა სიტყვიერი, არამედ პრაქტიკული ქმედებებისათვის.

პარლამენტართა შიმშილობის დაწყებიდან დღემდე ათეულობით ბარათს ვიღებთ ასეულობით და ათასეულობით დევნილთაგან, თქვენგან, ჩვენო ფუძემოშლილო თანამემამულენო, თხოვნით, ჩვენთან ერთად იშიმშილოთ. ჩვენთვის ყველაზე ადვილი იქნებოდა გვეთქვა თქვენთვის, რომ ერთ შიმშილობაში ორჯერ ვერ შეხვალ! – შიმშილობა, თქვენ, სამყაროში დღემდე არარსებულ პროფესიად გექცათ და, ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, ამ დიდმარხვაში, ერთხანს, თავი შეიკავოთ თქვენთვის სამწუხარო ყოფითი ტავტოლოგიისაგან, შიმშილობაში შიმშილობისგან და, გვერწმუნოთ ჩვენ, იმ ადამიანებს, იმ თქვენნაირებსა და თქვენიანებს, რომლებიც თქვენი და ჩვენი შიმშილობის მიზეზების მოსასპობად ვშიმშილობთ.

ღრმად გწამდეთ: ჩვენ, გამარჯვებამისჯილები ვართ!

გვფარავდეს ღმერთი!

საქართველოს პარლამენტის
ფრაქცია „აფხაზეთი“-ს
თავმჯდომარე, შიმშილობის
აქციის ხელმძღვანელი
გერმანე ფაცაცია

## დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

### ოღონდ ნუ იქნება ბუნტი!

**შიმშილობის მე-14 დღე, 15 მარტი, შაბათი**

პარასკევს საღამოს, დეპუტატ თორნიკე ფიფიას ინიციატივით შედგა ინტერფრაქციული შეხვედრა შოთა კვირაიასთან, კახა თარგამაძესთან, ირაკლი მენაღარიშვილთან და ვალერი ჩხეიძესთან. როგორც თორნიკე ფიფიამ აღნიშნა, საღამოს 6 საათიდან დაწყებული საუბარი ღამის 11 საათზე დასრულდა, მაგრამ არც ახალი თქმულა რამე და არც სასიხარულო, აქციის მონაწილეთა მოთხოვნის საპასუხოდ.

შოთა კვირაიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თუ ხელისუფლების ნება იქნება, სამშვიდობო ძალების გადანაცვლების შემდეგ, მათ შესწევთ ძალაც, ეკიპირებაც და სურსათ-სანოვაგეც, გააკონტროლონ ტერიტორია და მთლიანად ფლობდნენ სიტუაციას. უშიშროების სამინისტროს უზარმაზარი სამუშაოს ჩატარება შეუძლია და თვითშემოქმედება უნდა გამოირიცხოს. – თუ მოშიმშილეთა აქცია ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული და გამოიწვევს დესტაბილიზაციას, მათ ჩემთან ექნებათ საქმე – განაცხადა უშიშროების მინისტრმა. გერმანე ფაცაციამ თავისებური კომენტარი გააკეთა: – თუ ჭკუით არ იქნებით, ორთაჭალის ციხეში მოგიწევთ შიმშილობის აქციის გადატანაო. – ამ აზრს კახა თარგამაძეც ეთანხმება.

რაც შეეხება ირაკლი მენაღარაშვილს, მან ოდნავ შეარბილა ძალოვანი მინისტრების ნათქვამი: – დარწმუნებული ვარ, თუ იქიდან რუსეთის სამშვიდობო ძალები გავლენ, მათ სეპარატისტები გაჰყვებიან და ომი არ იქნება; მაგრამ ჩვენ ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად, რისკის უფლება არა გვაქვს.

### პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვა შეასრულა

შაბათს, ღამის პირველის ნახევარზე, ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებული ზურაბ ჟვანია აეროპორტიდან პირდაპირ მოშიმშილე დეპუტატების სანახავად მივიდა. ამდენად ორივე მხარემ სიტყვა შეასრულა, რომელიც გამგზავრების წინ ითქვა. პარლამენტის თავმჯდომარეს ახლდნენ გია ბარამიძე, მიხეილ სააკაშვილი, ზაზა სიორიძე, ელდარ შენგელაია და ედვარდ სურმანიძე. ურთიერთმოკითხვის შემდეგ ზურაბ ჟვანიამ ისაუბრა თავისი ვიზიტის შესახებ და აღნიშნა, რომ დასავლეთის ინტერესებში არ შედის ის რადიკალური გზა, რომელიც მოშიმშილე დეპუტატებმა აირჩიეს. ამავე დროს ამერიკის ხელისუფლების აზრით 1-2 წელიწადში საქართველო იქნება უმძლავრესი ქვეყანა. რაც შეეხება პარლამენტს, სამშაბათს დაიწყება საუბარი აქციის შესახებ. ზურაბ ჟვანიამ სთხოვა მოშიმშილეებს, რომ სამშაბათს, აფხაზეთის საკითხზე დადგენილების მიღების შემდეგ შეეწყვიტათ აქცია. დეპუტატები არ დათანხმდნენ, რადგან პარლამენტს უკვე რამდენჯერმე აქვს მიღებული ამგვარი დადგენილებები და არცერთი მათგანი ჯერ არ შესრულებულა. „აქცია მაშინ შეწყდება, როდესაც კონკრეტულ რეზულტატს დავინახავთ“ – უთხრეს მოშიმშილე დეპუტატებმა თავის თავმჯდომარეს.

რაც შეეხება ბორის კაკუბავას, მან თავიდანვე ჩაიქნია ხელი: „ზურა ახალს რას მეტყვისო“ და ძილის გაგრძელება სცადა. მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარე თვითონ მივიდა საწოლთან, გადაკოცნა და გული გაუმხნევა თავის ურჩ კოლეგას.

### ბორის კაკუბავა ხალხს არწმუნებს...

**შიმშილობის მე-15 დღე, 16 მარტი, კვირა.**

მოშიმშილე დეპუტატებმა შეკრებაზე გადაწყვიტეს, რომ პარლამენტზე წარადგინონ დადგენილების პროექტი აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ყოფნასთან დაკავშირებით.

გერმანე ფაცაცია და ვახტანგ ყოლბაია ცალკე განმარტოვდნენ დოკუმენტის შესაქმნელად.

2.30 სთ-ზე იმელის შენობასა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობასთან შეგროვილმა ხალხმა სასტუმრო „ივერიასთან“ გადაინაცვლა. მათ ემატებოდნენ ახალმოსულები. მიტინგის დაწყების წინ დაახლოებით 4000 კაცმა მოიყარა თავი. ბორის კაკუბავამ, მოშიმშილეთა სახელით, მათ მოკლე სიტყვით მიმართა და დაპირდა, რომ ორშაბათს, 2 საათისთვის, მოშიმშილე დეპუტატები მათ გააცნობდნენ პარლამენტზე წარსადგენ დადგენილების პროექტს. ბორის კაკუბავამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა შეკრებილები, რომ აქცია შეწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები იტყვიან: „სახლში ვართო“. ამ სიტყვამ მქუხარე ტაში გამოიწვია. მოშიმშილე დეპუტატმა ასევე დატუქსა ზოგიერთი დევნილი, რომელიც სასოწარკვეთას მისცემია: „რამდენიმე დღე დაგრჩათ და თავი შეიკავეთ. ჩემნეთი მაგალითი უნდა იყოს თქვენთვის“. მან ასევე აღნიშნა, რომ აქცია ტარდება აფხაზეთისა და ჩრდილო ქართლის საკოორდინაციო საბჭოს შტაბის მიერ და ყველა მას უნდა დაემორჩილოს.

ბორის კაკუბავამ თქვა: აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატი ამბობს, რომ შეიძლება სამშვიდობო მანდატის შეცვლა და ჯარების ღალიძგამდე გადაყვანა. ეს არის იმ დეპუტატების პირადი აზრი. ვინც ამას ამბობს, მალე დარწმუნდება, რომ ეს დამღუპველია. ჩვენი მოთხოვნა კი რუსეთის ჯარის სრული გაყვანაა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან.

### ვოიცეხ ლამენტოვიჩისთვის ჭეშმარიტება უპირველესია — სჯერათ მოშიმშილე დეპუტატებს

საინფორმაციო მიტინგის შემდეგ მოშიმშილეებს უთხრეს, რომ შოთა კვირაია აპირებს მათთან მისვლას. პირველი ნიშანი, რომ უშიშროების მინისტრი მართლაც მოვიდოდა, იმელის ფოიედან ნაგვის ყუთების აღება იყო, რამაც გერმანე ფაცაციას პროტესტი გამოიწვია – ნამწვავები სად გადავყაროთ, თავზე ხომ არ დავაყარიო. ამის შემდეგ, სამთავრობო დაცვის დახმარებით, ორი ნაგვის ყუთი ადგილზე დაბრუნდა. ხოლო შოთა კვირაიას ნაცვლად მოშიმშილეებთან მოვიდა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ვოიცეხ ლამენტოვიჩი. იგი ოფიციალური ვიზიტითაა ჩამოსული და თბილისის შემდეგ მოინახულეს ზუგდიდსა და სოხუმს.

მოშიმშილე დეპუტატები მას გულთბილად შეხვდნენ და გააცნეს, როგორც აქციის მოთხოვნა, ასევე ლტოლვილთა მდგომარეობა და აფხაზეთში რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ თარეში. ვოიცეხ ლამენტოვიჩი ყურადღებით მოეკიდა მოშიმშილე დეპუტატების საუბარს. დაწვრილებით გამოკითხა მათ ფაქტები აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის ძალების ურთიერთობის შესახებ. მან ჰკითხა დეპუტატებს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარების შესახებ. ვახტანგ ყოლბაიამ და გერმანე ფაცაციამ თქვეს, რომ ასეთი დახმარება შეკვეცილია, მაგრამ სჯობს საერთოდ არ იყოს, რადგან იგი აგდებს მოსახლეობას მუდმივი მათხოვრის მდგომარეობაში. გია გვაზავამ დაამატა, რომ დახმარება მაინც არ იყო საკმარისი; ამავე დროს შემოდიოდა მესამეხარისხოვანი პროდუქტი. მანვე თქვა, რომ ომის შემდეგ აფხაზეთში მოკლეს 5000 ადამიანი. „ჩვენ ვერაფრით ავუხსენით ევროპას, რომ რუსეთის ხელშეწყობით აფხაზეთის ტერიტორიაზე დამყარებულია ფაშისტური რეჟიმი“. ვახტანგ ყოლბაიამ ყურადღება გაამახვილა 23 ნოემბერს აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების შეფასებაზე, რაც ევროპის ქვეყნების მხრიდან ჯერაც არ მომხდარა. ვოიცეხ ლამენტოვიჩმა თქვა, რომ აფხაზეთის პრობლემების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ჯერ კოპენჰაგენში, ხოლო ივნისში ვარშავაში, სადაც ფრაქცია „აფხაზეთის“ დეპუტატებიც არიან მიწვეულნი. ეუთო თავისი ინიციატივით არ მოქმედებს, თუ მას ხელისუფლება არ მიმართავს. ამიტომ მას მცირე უფლებამოსილება აქვს. ამაზე გერმანე ფაცაციამ უპასუხა, რომ იგი იცნობს ლამენტოვიჩს და იცის, რომ მას ჭეშმარიტება უყვარს, ამიტომ ქართველ დეპუტატებს იმედი აქვთ, მათ გასაჭირს იგი გაავრცელებს ევროპის ქვეყნებში და შესაბამის ძალისხმევასაც არ დაიშურებს. რაც შეეხება ვარშავის შეხვედრას, მოშიმშილე დეპუტატები ივნისამდე ვერ დაიცდიან. თუ მანამდე აფხაზეთის პრობლემა არ გადაწყდა, 300000 კაცთან ერთად პარტიზანებად წავლენ და მერე აღარავის შეეკითხებიან რჩევას, არც ეუთოს, არც გაეროს და არც ჩრდილოეთის შიშით შეპყრობილ პრეზიდენტს.

შეხვედრის ბოლოს მოშიმშილე დეპუტატებმა სთხოვეს ვოიცეხ ლამენტოვიჩს, რომ სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში შეხვედროდა დევნილ მოსახლეობას და სიტყვით მიემართა მათთვის. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი დაპირდა მათ, რომ აუცილებლად გამოვიდოდა მიტინგზე და პასუხსაც გასცემდა დევნილი მოსახლეობის შეკითხვებს პარასკევს ან შაბათს, თბილისში დაბრუნების შემდეგ. სტუმარი გულთბილად გადაეხვია სათითაოდ თითოეულ მოშიმშილე დეპუტატს და აღნიშნა, რომ ასეთი წესი პოლონელებსაც ძველთაგანვე მოსდევთ.

მანანა იაშვილი

# საქართველოში საშინელი ქაოსი დაიწყება

**ინტერვიუ აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარე მურმან ბერიასთან**

*– როგორ დამოკიდებულებაშია „დევნილთა კავშირი“ ფრაქცია „აფხაზეთის“ აქციასთან?*

– ჩვენ ყველა აქციას დავუჭერთ მხარს, რომელიც აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან მიგვიყვანს ახლოს. აქედან გამომდინარე, მხარს ვუჭერთ მოშიმშილე დეპუტატებს მათმა აქციამ უკვე გამოიღო შედეგი – პირველ რიგში, მან გამოაფხიზლა ხალხი და შეახსენა, რომ უკვე ამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ თავისი ტერიტორიის მესამედი დაკარგა.

*– ზოგიერთი პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ ეს აქცია სანქცირებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ. თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?*

– გარკვევით ვერაფერს ვიტყვი ამასთან დაკავშირებით. მაგრამ, დამაინტრიგებელია ის ფაქტი, რომ აქცია იმ შენობაშია მოწყობილი, რომელშიც აფხაზეთის დევნილი ხელისუფლებაა განთავსებული.

*– უჭერთ თუ არა მხარს მოთხოვნას კონფლიქტის ზონებიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ?*

– ეს მოთხოვნა საქართველოს ინტერესებს გამოხატავს და ჩვენ სრულებით ვუჭერთ მას მხარს. მეტიც, ჩვენ მოვითხოვთ, რომ საქართველოს მიწა დატოვოს რუსეთის ყველა სამხედრო გაერთიანებამ.

*– თქვენი მოთხოვნების დაკმაყოფილების იმედი გაქვთ?*

– საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც აფხაზეთში მოხდა. ასეთი შეცდომის შემდეგ ხელისუფლება სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო, ან საერთოდ გადამდგარიყო. რადგან ასე არ მოხდა, იგი ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს პრობლემის მოსაგვარებლად. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების მოგვარების შემთხვევაში რუსეთი მაინც არ მოგვასვენებს და დაძაბულობის ახალ კერას შეგვიქმნის.

*– რას გულისხმობთ?*

– საქართველოში მოქმედი რუსეთის აგენტურის ძალისხმევით ახალი დაძაბულობისა და, შესაძლოა, საბრძოლო მოქმედებების კერად გადაიქცეს, თუნდაც, სამცხე-ჯავახეთი.

*– თქვენი აზრით, რა უნდა მოიმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ?*

– ჩვენ არაფერში არ უნდა დავეყრდნოთ რუსეთს. საქართველოს ბედი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ფეხზე ადგება რუსეთის პრეზიდენტი. დიდი შეცდომა იყო საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარებისათვის ოკუპანტების სტატუსის მოხსნა.

*– დადის ხმები, რომ ლტოლვილები საბრძოლო ჯგუფებს ქმნიან აფხაზეთის დასალაშქრად. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?*

– ამ ინფორმაციას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ. ერთი რამ ნათელია, რომ სასოწარკვეთამდე მისული ლტოლვილი იარაღით კი არა – შიშველი ხელითაც წავა აფხაზეთის, საკუთარი სახლ-კარის დასაბრუნებლად.

*– თქვენ დარწმუნებული ხართ, საქართველოს ხელისუფლება შეძლებს კონფლიქტის ზონებში დაგროვილი პრობლემების მოგვარებას?*

– მე ერთი რამ კარგად ვიცი – თუ ახლო მომავალში ვითარება არ შეიცვლება, საქართველოში საშინელი ქაოსი დაიწყება. ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

**ლევან გუდაძე, BGI**

# აქა ამბავი იმისა, თუ როგორ შეაკლა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანს თავი საიათნოვამ, რომელიც 1801 წელს ბუნებრივი სიკვდილით მიცვალებულა?!.

დედითა და მამით სომეხი საიათნოვა თბილისში დაიბადა და აქვე ვაჭრობა-ხელოსნობით დაიწყო მოსაქმეობა, მაგრამ, როგორც მაშინდელი დროის ვაჭარ-ხელოსანთათვის იყო დამახასიათებელი, თავისუფალ დროს საზს უკრავდა და სიმღერებს თხზავდა. უფრო გვიან საზი მისი ხელობის ძირითადი იარაღი გახდა და საიათნოვა სამეფო კარის მემუსიკეთა შორის აღმოჩნდა. სამეფო კარზე მემუსიკეთა დასის ყოლა აღმოსავლური წესი იყო და, როგორც ჩანს, ერეკლეს კარზეც ძირითადად სპარსულ ჰანგებზე მომღერალი მემუსიკენი ჰყოლიათ. საიათნოვას ნოვატორობა გამოუჩენია და სპარსული ჰანგისთვის ქართული სიტყვები შეუწყვია. ამ სიახლეს ერეკლე მეფის მოწონება დაუმსახურებია და ნიჭიერების დამფასებელ მეფეს მგოსანი (რაც იმპროვიზატორ დამკვრელ მომღერალს ნიშნავს) ხალათითაც დაუსაჩუქრებია, ოღონდ, შემდგომში, ვგონებ, ზედმეტი სითამამისთვის, მეფის საზანდარდასტიდან დაუთხოვიათ. ამის შემდეგ საიათნოვას ახპატის მონასტერში ვხედავთ ბერად შემდგარს, სადაც იგი 1801 წელს გარდაიცვალა.

საიათნოვა, მსგავსად მაშინდელი დროის თბილისელი საზანდრებისა, ძირითადად აზერბაიჯანულ ენაზე მღეროდა (შემონახულია მისი 115 აზერბაიჯანული სიმღერის ტექსტი), მღეროდა სომხურადაც (60 სიმღერის ტექსტია ცნობილი) და ქართულადაც (37 სიმღერა).

რადგან აშუღი – მომღერლები სიმღერის ტექსტს არ წერდნენ, საიათნოვას სიმღერების ავტოგრაფებიც ცნობილი არაა. მისი სიმღერების ტექსტები ჩაუწერია ვინმე პანტელაანთ ივანეს მეტად ორიგინალური ხერხით: სომხური ტექსტები – ქართული ასოებით, აზერბაიჯანული – სომხურით.

ერეკლესა და გიორგი XII დროს თბილისში საიათნოვას სიმღერები იმდენად მოდურია, რომ ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სამეფო სახლის შვილები – იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები. ამ უკანასკნელის არქივმა შემოგვინახა საიათნოვას ქართული სიმღერების ტექსტთა უმრავლესობა, რომელიც პეტერბურგში მცხოვრებ საიათნოვას ვაჟს – გიორგი სეიდოვს ჩააწერინა.

მიუხედავად თითქოს ასეთი პოპულარობისა, XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი საიათნოვას არ იცნობენ. რაც შეეხება სომხეთში მაცხოვრებელ სომეხ ხალხს, მას საიათნოვაზე საერთოდ არაფერი გაეგონა 1852 წლამდე, ვიდრე თბილისელმა (უფრო სწორად თელეთელმა) იური (გიორგი) ახვერდოვმა (პროფესიით ექიმმა) მისი ქართული ასოებით ჩაწერილი სომხური სიმღერების ტექსტები არ გამოსცა. სწორედ ამ ახვერდოვმა შეთხზა (იქნებ სხვისგანაც გაიგონა) ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს საიათნოვამ 1795 წელს თავი შეაკლა თბილისში შემოჭრილ აღა-მაჰმად-ხანის ჯარებს.

რადგან ქართულმა საზოგადოებრიობამ, ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობის მიხედვით, იცოდა, რომ არაფერი მსგავსი არ მომხდარა, საიათნოვა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს თბილისში საერთოდ არ ყოფილა, სიცოცხლე კი ექვსი წლის შემდეგ დაასრულა ახპატის მონასტერში (ამ ცნობას მხარს უმაგრებს იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილის, „კალმასობაში“ მოთხრობილი ეპიზოდიც), ახვერდოვის ზღაპრებს ყურადღებას არავინ აქცევდა. ამ „ცნობისათვის“, რასაკვირველია, არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ არც მეცნიერულ წრეებში, მანამ, ვიდრე კომუნისტმა იდეოლოგებმა სიცრუესა და თვალთმაქცობაზე დამყარებული „ხალხთა მეგობრობის“ იდეა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში არ აიყვანეს და არ ამოქექეს ახვერდოვის ლეგენდა. როგორც კომუნისტ იდეოლოგებს ეხერხებოდათ ხოლმე, სხვა მრავალ ლეგენდასთან ერთად „სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ“ (იხ. ჩემი

გაგრძელება მე-6 გვ.

სასამართლო

# შვილის გვამი მამამ ოქროს კბილით იცნო

## სასამართლო პროცესი «ბორჯომის ხეობაში» მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით

სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით პირველ რიგში დაიკითხა დაზარალებული ლამარა ლურსმანაშვილი (მოკლულ ივერი მაღრაძის მეუღლე):

– „დაბა წაღვერში ორ შვილთან ერთად ვცხოვრობდით მე და ივერი, – ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში „თეთრი არწივის“ მეთაური. ის ოფიციალურად ატარებდა ტაბელურ პისტოლეტს. იყო კარგი მეოჯახე. გოჩა გელაშვილი, ზედმეტსახელად „კიტინა“ ივერის მეგობარი არასოდეს ყოფილა, უბრალოდ, გოჩას მეუღლე და მე სკოლაში ერთად ვმუშაობდით. 18 ნოემბერს იყო ივერის დაბადების დღე და გოჩა საღამოს 5 საათისთვის ტორტის მოტანას დაგვპირდა. მაგრამ „კიტინა“ იმ საღამოს არ გამოჩენილა. ჩვენ კი უიმისოდ აღვნიშნეთ დაბადების დღე.

ორშაბათს სამსახურში გავიგე, რომ სამსონა ქურდი დაიჭრა ოფისში. ისიც გავიგე, რომ საავადმყოფოში მასთან იყვნენ გოგა გელაშვილი და სხვა მხედრიონელები. მათ გარდა სხვას იქ არავის შეუშვებდნენ.

როდესაც შევხვდი დავით გელაშვილს (გოგა გელაშვილის დეიდაშვილი), ვკითხე, სად არის ივერი-თქო. ივერი გოგასთან ერთად საქეიფოდ წავიდაო, – მიპასუხა მან. იგივე კითხვით მივმართე გოჩა გელაშვილს, რაზეც მითხრა, რომ არაფერი იცის, ახალციხეში იყო, მაგრამ მაინც გოგასგან გაგიგებო. ხოლო როცა ჯუმბერ საყვარელიძეს ვკითხე ივერის შესახებ, მან თქვა, რომ ივერი „ქალებში“ იქნება წასულიო. მე გაკვირვებულმა ვუპასუხე მას, რომ ის თუ დადის „ქალებში“, ფეხით არ დადის, არამედ მანქანით-თქო. ახლა კი ფეხითაა.

ამის შემდეგ მე და ჩემი დედამთილი თბილისში, გოგა გელაშვილთან სახლში მივედით. მე შიგნით, სახლში არ შევსულვარ. რამდენიმე დღეში გოგა თავად ჩამოვიდა ჩვენთან, წაღვერში (ეს ის დრო იყო, ჯ.იოსელიანმა მხედრიონელები რომ დააჯილდოვა). ვუთხარი გოგას, რომ ვიცი ოფისში სროლების შესახებ და ვიცი ისიც, რომ იქ მყოფნი დახოცილები ან დაჭრილები არიან. გოგა მაწყნარებდა, რომ ივერის არავინ მოკლავდა, ის ერთი მოქეიფე ბიჭია და შეიძლება სადმე იყოს წასულიო. ბოლოს დამპირდა, რომ ხვალისათვის ამოიყვანდა თამაზ კურტანიძეს და ყველაფერს გაარკვევდა. მართლაც, მეორე დღეს, თ.კურტანიძე, გოგა გელაშვილი და ვიღაც თემური (ბანკის მმართველი) ამოვიდნენ ჩვენთან სახლში, მაგრამ მე გარკვეული მიზეზების გამო სახლში ვერ დავხვდი. თამაზ კურტანიძემ ჩემს დედამთილს უთხრა, რომ ოფისში ივერის დაბადების დღე აღვნიშნეთო და შემდეგ 13-მა კაცმა გავაცილეთო.

ლამარა ლურსმანაშვილის დაკითხვის შემდეგ დაიკითხა მაღრაძის დედა – მერი ნებიერიძე. მისი თქმით, ერთი კვირის თავზე, რაც ჭორი აგორდა ოფისიდან სროლის შესახებ, იქ, ოფისში, რემონტი კეთდებოდა, რადგან ნატყვიარი ყოფილა კედელსა და სავარძელზე. მერი ნებიერიძეს შეუხედავს ოფისში და დაუნახავს, რომ დიდ მაგიდასთან, რომელზედაც 10000-იანი კუპიურები ეყარა ბლომად, იდგნენ: გოგა გელაშვილი, თამაზ კურტანიძე, ლერი ხუჭუა, დავით ლურსმანაშვილი და სხვანი. გოგას დაუნახავს ივერის დედა და უკითხავს მისი მდგომარეობის შესახებ და ივერის პოვნაში დახმარებას შეპირებია.

სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ მზია გედიანიძე (მოკლულ ედუარდ აკოფიანის მეუღლე) და დარეჯან მიქაბერიძე (მოკლულ ვახტანგ ცუხიშვილის მეუღლე).

მზია გედიანიძის ჩვენებიდან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აკოფიანის ოფისში შესვლა და სროლის ატეხა ერთი ყოფილა, რაც დაუნახავს ბორჯომელ ბიჭს, შოთა გოგიბერიძეს. ამას კი მზია გედიანიძე თავდაპირველად ვერ ამხელდა, ვინაიდან ეშინოდა, რომ შოთა არავის მოეკლა.

სხდომაზე აგრეთვე დაიკითხნენ პოლიციის უფროსის მძღოლი დავით ბუხრიკიძე და მისი მეუღლე ირმა ბუხრიკიძე, რომლებსაც იმ უბედური შემთხვევის გამო დაუინვალიდდათ ერთ-ერთი ბავშვი. (მისი მანქანა ივერი მაღრაძის მანქანად მიიჩნიეს და დაცხრილეს).

დავით ბუხრიკიძის ჩვენებიდან: „გავცდი რა 300 მეტრით კეჩხობს, გავიგონე აფეთქების ხმა. ერთ-ერთი ბავშვი ფეხებში ჩამივარდნოდა, სისხლი შუბლიდან მოსდიოდა. მეორეს მიმართულებით მინა იყო გახვრეტილი. მივხვდი, რომ ნასროლი იყო. ბავშვმა დამანახა ხესთან (ნიღბით, შავებში გამოწყობილი) მდგარი კაცი, თოფით ჩვენსკენ. გადავედი მანქანიდან და ვთხოვე, რომ მეორეს ნუღარ მომიკლავ, მე მომკალი იმის მაგივრად-თქო. მან არაფერი მითხრა და ზემოთ წავიდა. მე დავჯექი საჭესთან და მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ მეორე ბავშვიც დაჭრილი ყოფილა“.

დაიკითხნენ ივანე დარბიაშვილი (ზაირა დარბიაშვილის მამა) და რუსუდან კანტიძე (ნინო კანტიძის დედა). ივანე დარბიაშვილის თქმით, ზაირა დარბიაშვილს ერთ დღეს მოაკითხა მეგობარმა ნინო კანტიძემ და ერთად გამოემგზავრნენ ბაკურიანს, მაღრაძის დაბადების დღის აღსანიშნავად. კვირას კი უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ. 24 ნოემბერს კი ივანესთან, კასპის რაიონში, მაღრაძის ცოლი და დედა ჩამოვიდნენ, რათა გაეგოთ რაიმე ინფორმაცია ივერის და მათთან მყოფი 4 ადამიანის შესახებ. უკვე ივერის დედას უთქვამს ივანესთვის ოფისში სროლების შესახებ და იმის თაობაზეც, რომ კურტანიძეს ოფისიდან იქ მყოფნი გამოუცილებია.

და ბოლოს, დაიკითხა ნიკოლოზ აკოპიანი (ედუარდ აკოპიანის მამა), რომელმაც გვიამბო, რომ ოფისის მახლობლად ლტოლვილებს უთქვამთ მისთვის, რომ ღამის 12 საათზე კურტანიძემ ყარაულს უთხრა – ლობეზე მავთულები რომ არის, მომიტანეო. გაიგო რა ეს ამბავი ნიკოლოზ აკოპიანმა, მივიდა კურტანიძესთან და უთხრა, რომ ხალხი ცუდ რამეებს ლაპარაკობს, რად გინდოდა მავთულებიო. კურტანიძემ თქვა, რომ ეს ჩემი პირადი საქმეა და საერთოდ, სროლები აქ თითქმის ყოველდღეაო.

გავიდა 8 თვე. ერთ დღეს, როდესაც ე.წ. სვარკით დაჭრეს წაღვერში ცისტერნები, ნახეს მავთულებით და სიმძიმეებით ჩამოკიდებული ედუარდ აკოპიანის და სხვა მოკლულების გვამები. ედ.აკოპიანის გვამი კი მამამისმა იცნო მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამეთი – ოქროს კბილით.

სასამართლო პროცესი ერთი კვირის შემდეგ განახლდება.

**ია ბუკოვსკაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ აფხაზეთთან მიმართებაში მკვდარი წერტილიდან დავიძარით

შიმშილობის მესამე დღეს ნათელი გახდა, რომ აქცია პერსპექტიულია. მოშიმშილეებმა სხვადასხვა ქვეყნებიდან მიიღეს თანადგომის ბარათები. იტალიელმა სენატორებმა გამოგვიგზავნეს თანადგომის ნოტა და გვაცნობეს, რომ საქართველოში ჩამოსვლასაც აპირებენ, – განაცხადა ფრაქცია „აფხაზეთის" ლიდერმა, მოშიმშილე გერმანე ფაცაციამ. მოშიმშილეებს შეხვდნენ სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, მისი მოადგილე ზაზა შენგელია და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია. (BGI)

## შევარდნაძეს აქვს შანსი...

ქართველი სოცდემების ლიდერის გურამ მუჩაიძის აზრით, საქართველოს რიგით მესამე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შესაძლოა პირველი ორის ბედი გაიზიაროს. მისი თქმით, ხელისუფლების სრულმა კორუმპირებულობამ ხალხი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, რასაც, შეიძლება, სოციალური აფეთქება მოჰყვეს. შევარდნაძეს აქვს არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის შანსი – ამისათვის მან ხელისუფლებას უნდა ჩამოაშოროს ის კორუმპირებული ელემენტები, რომლებიც სულ ახალ-ახალ „სიურპრიზებს" სთავაზობენ საქართველოს მოსახლეობას – აღნიშნა მუჩაიძემ. (BGI)

## კაკუბავა რჩეულიშვილს უჩივის

ბორის კაკუბავამ მთაწმინდის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა ვახტანგ რჩეულიშვილის მიმართ. „კაკუბავა აგენტია. იგი, როგორც პიროვნება, მე არ მაინტერესებს, მთელი მისი მოღვაწეობა რუსეთის სამხედრო დაზვერვის სამსახურია" – ასეთი განცხადება გააკეთა, ბორის კაკუბავას თქმით, საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა, სოციალისტური პარტიის ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა 14 მარტს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. კაკუბავამ საქართველოს უშიშროების მინისტრს შოთა კვირაიას განცხადებით მიმართა, სადაც სთხოვს მისი აგენტობის მაკომპრომენტირებული ყველა დოკუმენტის საჯაროდ გამოქვეყნებას. (BGI)

## პრობლემა ხელოვნურადაა შექმნილი

თბილისის ხუთ პურის ქარხანას უკვე ორი კვირაა არ მიეწოდება ბუნებრივი გაზი. ექსპერტების აზრით, ამან შეიძლება პურის გაძვირებაც გამოიწვიოს. ეს ფაქტი ეჭვს ბადებს იმის გამო, რომ „ტრანსგაზის" მტკიცებით, რუსეთმა განაახლა გაზის მოწოდება. პურის ქარხნების ხელმძღვანელთა აზრით, პრობლემა ხელოვნურადაა შექმნილი, რადგან ვიღაცას უნდა კერძო სტრუქტურების მიერ შემოტანილი დიზელის საწვავის გასაღება. (BGI)

● საით მიდის საქართველო?

# გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი

ალექსანდრე ჭაჭია

ბოლო წლებში, ქართველ საზოგადოებას პროვოკატორთა და მიამიტი პოლიტიკოსების პირით თავს ახვევდნენ აზრს, თითქოს თურქეთი „აღარ არის ის, რაც ადრე იყო", რომ ის „ცივილიზებული ქვეყანაა", „დასავლური ორიენტაციის" სახელმწიფოა და ა.შ. კარგი იქნებოდა შეგვეხსენებია, რომ პროამერიკული ირანიც შაჰ რეზა ფეხლევის დროს ასევე არ იწვევდა არავითარ ეჭვს, მაგრამ აიათოლა ჰომეინის ხელმძღვანელობით ერთი კვირის განმავლობაში ისლამური სახელმწიფო და იგივე ამერიკის პირველი მტერი გახდა. ალჟირიც იყო წყნარი პროდასავლური სახელმწიფო, მაგრამ 1991 წელს არჩევნებში გაიმარჯვა ხსნის ისლამურმა ფრონტმა და დღეს მხოლოდ ძალა, სანახევროდ სამხედრო რეჟიმის რეპრესიები არ უშვებენ ქვეყნის სრულ ისლამიზაციას. მსგავსი პროცესები თურქეთშიც იყო მოსალოდნელი, მხოლოდ ზედმეტად თვითდაჯერებულ შეერთებულ შტატებს ეგონა, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ არჩევნებში, როგორც ცნობილია, გაიმარჯვა პარტიამ „რეფახი", რომლის შეიდტომეული პროგრამა სრულიად ორიენტირებულია ისლამურ ფასეულობებზე. პარტიის ლიდერი და პრემიერ-მინისტრი ნერბაქანი მოუწოდებს გაერთიანებული ისლამური სამყაროს ყაზახეთიდან მაროკომდე, ისლამური ნატოს და ისლამური გაეროს შექმნისაკენ (სხვათაშორის, მცდარი აზრია, თითქოს თჩილერის პარტია ბევრად განსხვავდება ერბაქანის პარტიისაგან: ორივე პარტიის პოლიტიკური კონცეფციების საფუძველში თურქული იმპერიული ნაციონალიზმია, მხოლოდ ერთში ის ისლამურ-ფუნდამენტალურია, მეორეში კი მოდერნიზებული). მთავარი რაც გააკეთა ერბაქანმა და რასაც არაფრით არ ელოდა დასავლეთი – მოუწოდა სუნიტებსა და შიიტებს შორის ურთიერთდაპირისპირების დაძლევისკენ, ეს კი ისლამური სამყაროს გაყოფასა და გათიშვაზე მიმართული ამერიკული პოლიტიკის სრულ კრახს ნიშნავს. ანკარამ ერაყთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს სასაზღვრო ვაჭრობისა და ერაყიდან თურქეთში გაზსადენის გაყვანის შესახებ; თვით ერბაქანმა ირანში ხელი მოაწერა კონტრაქტს თურქეთში 20 მილიარდი დოლარის ღირებულების გაზის მიწოდების შესახებ. და რაც მთავარია, დაიწყო ირანსა და ერაყს შორის ინტენსიური კონსულტაციები თურქეთის შუამდგომლობით. ისლამური სამყაროს დიდი იმპერიული წარსულის მქონე სამი უდიდესი ქვეყნის ურთიერთდაახლოება ჭეშმარიტად სენსაციურია, თანაც სამივეს გააჩნია ძლიერი, ანტიდასავლური განწყობა. ამ დაახლოების შედეგად აუცილებლად იქმნება დასავლეთზე და რუსეთზე ისლამური ზეწოლის გაძლიერება. ამის შუქზე განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება შემდეგი ფაქტები: 1) ირანის პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ განაცხადა, რომ ირანი და თურქეთი აპირებენ სამხედრო კავშირის დამყარებას; 2) ანკარამ საბერძნეთს წამოუყენა ტერიტორიული პრეტენზია ეგეოსის ზღვაში არსებულ 100 კუნძულთან დაკავშირებით; კიპრის თურქული ნაწილის პრეზიდენტმა დენკტაშმა გამოაცხადა, რომ მის მიერ აღებულია კურსი კონტინენტალურ თურქეთთან ინტეგრაციაზე, ხოლო საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა სემიტისმა თქვა: „ჩვენ მზად უნდა ვიყოთ თურქეთთან ომისათვის"; და ეს მაშინ, როცა ორივე ქვეყანა ნატოს წევრია! 3) ირანში იზრდება ძლიერი მოძრაობა აზერბაიჯანის ირანთან შეერთებისათვის. სხვადასხვა ძალთა მიერ გამოქვეყნებულ განცხადებებში პირდაპირ ნათქვამია, რომ არაქსის ჩრდილოეთით განლაგებული ირანული მიწები დაუფლებულ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ და დღეს „დადგა სამართლიანობის აღდგენის დრო". ბოლო წლებში ირანში აზერბაიჯანს „ბაქოს რესპუბლიკას" უწოდებენ. და ბოლოს ჩვენთვის მთავარი: ირანის გაზეთ „აბრარ"-ის შეტყობინებით, თურქეთის პრემიერი ერბაქანი გაგებით მოეკიდა ირანის პრეტენზიებს იმ „ისტორიულად სპარსული ტერიტორიების" შემოერთებასთან დაკავშირებით, რომლებზეც *დღეს კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები!* რა თქმა უნდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თურქეთი არ დაუთმობს ირანს მდიდარ აზერბაიჯანს და სანაცვლოდ დაეხმარება სხვა „ისტორიული" მიწების შემოერთების საქმეში, მაგრამ ისე და ისე ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ „გადაყლაპავს" „აზერბაიჯანელთა კომპაქტური დასახლების ტერიტორიებს" – ირანი თუ თურქეთი?

შემოერთების ტექნოლოგია ამერიკელების მიერ არის გამოგონილი, მსოფლიოს ბევრ რეგიონშია აპრობირებული და ხორციელდება პრინციპით „მშვიდობა ტერიტორიის ნაცვლად". კეთდება ეს ძალიან ადვილად: საჭირო ადგილას ხდება შეიარაღებული კონფლიქტის ინსპირირება, შემდეგ კი სთავაზობენ მშვიდობას ტერიტორიის ნაცვლად. თუ მსხვერპლი წინააღმდეგობას უწევს და იცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ საქმეში ერევა „დამცირებული ერის" ძლიერი „დამცველი" და საკითხი ადვილად წყდება. ამ პრინციპით ჩვენ ორი დიდი რეგიონი უკვე დავკარგეთ და კიდევ სამის ჯერი დგება... (სხვათაშორის საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნატოს გაფართოების იდეის საჯარო მხარდაჭერა იმას მოწმობს, რომ აფხაზეთის დაბრუნების ამოცანა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობამ დღის წესრიგიდან მოხსნა, ვინაიდან უკვე ზედმეტია ფიქრი რუსეთის კეთილ ნებაზე ამ საკითხში).

და კიდევ. ქართულ პოლიტიკურ წრეებში შეიმჩნევა პროჩეჩნური განწყობილების მკვეთრი ზრდა. სულ ახლახან ქართული გაზეთები შთამბეჭდავად აღწერდნენ, თუ როგორ უჭრიდა ბასაევი ვენებს ქართველ მეომრებს და ჭიქით სვამდა მათ სისხლს. დღეს კი ქართველი პარლამენტარები ჩადიან ბასაევთან სტუმრად, იხუტებენ გულში და ერთგულებას ეფიცებიან (რა თქმა უნდა, პოლიტიკაში ბევრი რამ დასაშვებია, მაგრამ არ შეიძლება, ბატონებო, დაღუპული ძმების ხსოვნის შეურაცხყოფა).

დიახ, ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან მაქსიმალურად მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ. საქართველოს ხელმძღვანელობამ დანაშაულებრივი შეცდომა დაუშვა, როცა 1992 წლიდან გააფუჭა ჩვენი ურთიერთკავშირი, ამბიციურად თვლიდა, რომ პრიორიტეტულია ურთიერთობა ამერიკასა და იაპონიასთან და არა საერთო სახლის მეზობლებთან. ჩვენ გველის ხანგრძლივი და სერიოზული მუშაობა კავკასიის ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად. მაგრამ ამასთანავე ქართულმა საზოგადოებამ ნათლად უნდა გაითვითცნობიეროს და გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: 1) ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ნაწილის, მათ შორის ჩეჩნების, საგარეო პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული ორიენტირება რიგ შემთხვევაში არ შეესაბამება საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს; 2) თურქეთის პროტექტორატის ქვეშ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირი ითვალისწინებს ე.წ. კავკასიის ხალხთა კონფედერაციის მიერ გამოცხადებულ იდეოლოგიას, ამ იდეოლოგიის რეალიზება კი სამუდამოდ წაგვართმევს აფხაზეთის დაბრუნების შესაძლებლობას; 3) დღეს ჩეჩნეთში ცხოვრობს თითქმის 40 ათასი კარგად შეიარაღებული ადამიანი, რომლებმაც ომის გარდა არაფერი იციან. მათი მშვიდობიანი შრომით დაკავება შეუძლებელია, ვინაიდან ჩეჩნეთის სამეურნეო კომპლექსს არ გააჩნია ამის შესაძლებლობა. უკვე დღეს ჩეჩნები ყაჩაღობენ თანამორწმუნე (!) დაღესტნის ტერიტორიაზე. რუსეთთან საზღვრის დაგეგმილი ბლოკადა გააძლიერებს მათ სურვილს გამდიდრდნენ მეზობლის ხარჯზე. თუ ქართული ჯარი პანიკურად გაიქცა აფხაზეთიდან 300 რუსისა და 500 ჩეჩენის შიშით, მაშ რა იქნება, თუ დავუშვებთ, 5 ათასი ჩეჩენი, რომლებსაც ომის 2 წლიანი გამოცდილება აქვთ, ისურვებენ საქართველოში „გასეირნებას"? 4) ჩეჩნეთი უკვე 7 წლის განმავლობაში წარმოადგენს ნარკოტიკების ტრანსპორტირების უმნიშვნელოვანეს ბაზას. ჩრდილოეთიდან საზღვრებისა და საჰაერო დერეფნების შესაძლო გადაკეტვა ნარკოტიკების ტრანზიტში საქართველოს როლს აამაღლებს, რაც, რა თქმა უნდა, ზოგიერთ ცნობილ სტრუქტურას დიდად გაამდიდრებს, მაგრამ უამრავ უბედურებას მოუტანს ქართველ ხალხს.

ქართველი პოლიტიკოსების მიერ შექმნილი გეოპოლიტიკური ხაფანგიდან გამოსავლის ძებნა ჩვეულებრივ ორი პოლარული დასკვნით მთავრდება: „რუსეთი დაგვეხმარება", ან „დასავლეთი გადაგვარჩენს". ორივეს საფუძველში იგივე მუქთახორთა ფსიქოლოგიაა.

რუსეთი დღეს არ წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელსაც ძალუძს საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესების დაცვა. გორბაჩოვის მიერ დაწყებული პოტსდამის ხელშეკრულებების გადახედვის პროცესმა კითხვის ქვეშ დააყენა თვით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობა. დასავლეთმა შესწყვიტა რუსეთის მიმართ ცრუ შეპირებების, მეგობრობის დემონსტრირების პოლიტიკა და მკვეთრი მოთხოვნების, ულტიმატუმების ენაზე გადავიდა: რუსეთისაგან ითხოვენ ნედლეულს, დეზინტეგრირებასა და ტერიტორიულ დათმობებს. მოექცა რა სრულ ფინანსურ (სავალუტო ფონდის პოლიტიკის გამო) და სასურსათო (სურსათის 60% იმპორტული წარმოებისაა) დამოკიდებულებაში, რუსეთი ჩიხშია მომწყვდეული და აგრძელებს პოზიციების დათმობას. მის მიერ საქართველოს მიმართ რომელიმე განსაკუთრებული პოლიტიკის შესახებ ლაპარაკიც კი დღეს ზედმეტია. როცა საქართველოს საჯარო მოღვაწეთა უმრავლესობა „ავტორიტეტულად" მსჯელობს რუსეთის მზაკვრულ პოლიტიკაზე ან იმის შესახებ, რომ კრემლი, მთავრობა, სუკი დღე და ღამე საქართველოში ჩასატარებელ ოპერაციებზე ფიქრობს – ეს სასაცილოა. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ რუსეთში დღეს არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც სისტემატურად, სერიოზულად დაკავებულია საქართველოს პრობლემებით. როცა პოდბერიოზკინი ან კარაგანოვი თბილისში ყოფნისას აცხადებდნენ, რომ რუსეთს საქართველოში ინტერესები არ გააჩნია, სწორნი იყვნენ. რუსეთის ახლანდელ ხელმძღვანელობას საქართველო, როგორც რუსეთის გეოსტრატეგიის ობიექტი მაინცდამაინც არ ეპიტნავება (ამის აღიარება ძნელია საქართველოს პოლიტიკური პარტიებისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში მათი საქმიანობა აზრს კარგავს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება). ერთადერთი, რასაც გააკეთებს რუსეთი (განსაკუთრებით ე.შევარდნაძის მიერ ნატოს გეგმების მხარდაჭერის შემდეგ) – ხელიდან არ გაუშვებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რაც სხვათაშორის სრულიად ემთხვევა თურქეთის სურვილს, ვინაიდან შეესაბამება კავკასიის ხალხთა კონფედერაციის კონცეფციას, შემდგომში ამ კონფედერაციის გამოყოფით რუსეთიდან.

მაშასადამე, „პრორუსული ორიენტაციის" მომხრეებს იმედის გაცრუება ელით: დღევანდელ რუსეთს არ ძალუძს კონკურენტუნარიანი გეოპოლიტიკური სტრატეგიის განხორციელება, ხოლო რუსეთის ხელმძღვანელობას არ გააჩნია სათანადო ნიჭი და პოლიტიკური ნებისყოფა, რომელიც აუცილებლად საჭიროა მოდერნიზაციული პროექტის წარდგენისა და რუსეთის, როგორც ევრაზიული ცივილიზაციის ცენტრის ისტორიული მისიის რეალიზებისათვის.

საქართველოში დღეს განსაკუთრებით მოდაშია მსჯელობა დასავლეთის დახმარებაზე. მიამიტ პროვინციელ მეოცნებეთა ეს ცრუ იმედი გავრცელებული იქნება მანამ, სანამ საზოგადოება არ შეიგნებს თანამედროვე მსოფლიოს მთავარ გლობალურ ურთიერთდაპირისპირებას „ჩრდილოეთსა" და „სამხრეთს" შორის, სადაც „ჩრდილოეთი" – განვითარებული ქვეყნებია, პლანეტის მოსახლეობის ის „ოქროს მილიარდი", რომელიც იყენებს მსოფლიო რესურსების უმეტეს ნაწილს, ხოლო „სამხრეთი" – მთელი დანარჩენი სამყაროა. უხეშად რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ „ჩრდილოეთმა" გააძლიეროს მდიდრული ცხოვრება, ნედლეულისა და სურსათის მსოფლიო მარაგის ძირითადი ნაწილი კვლავ მოიხმაროს, „სამხრეთი" სიღატაკეში უნდა იმყოფებოდეს. ამისათვის კი საჭიროა: 1) „სამხრეთის" კოლონიალური დამოკიდებულება „ჩრდილოეთზე", რაც მიიღწევა ამ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ნგრევითა და მათი ნედლეულისა და იაფი მუშახელის მიმწოდებლად გადაქცევით, რისთვისაც მოქმედებენ სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები; 2) სამხრეთის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ლოკალური ომების და მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის ხარჯზე (ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოცუზრუნველყოფის ხელმისაწვდომი სისტემის არარსებობა, უმუშევრობა, შობადობის იძულებითი შემცირება). ცნობილი გეოპოლიტიკური გეგმებიდან და აგრეთვე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური რეალიებიდან, სავალუტო ფონდის პოლიტიკიდან და საქართველოს მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს ერთადერთი დასკვნა: ქართველი ერი (ყოფილი სსრკ-ს სხვა ხალხებთან ერთად) მოხვდა იმ ხალხთა სიაში, ვის ხარჯზეც გადაწყვეტილია პლანეტის მოსახლეობის შემცირების უზრუნველყოფა. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიას, ის უდაოდ შეასრულებს იმ სატრანზიტო როლს, რომელზეც დიდი იმედით ლაპარაკობენ ქართველი პოლიტიკოსები, მაგრამ ამისგან შემოსავალს მიიღებენ სხვა ერები და სხვა სახელმწიფოები.

გარდა ამისა, საქართველოში „დასავლეთის" ქვეშ რატომღაც იგულისხმება ამერიკა, გერმანია, საფრანგეთი, თუმცა სავსებით გასაგებია, რომ ჩვენთვის დასავლეთი თურქეთია და მხოლოდ თურქეთი.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №25

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## „სამანიშვილის დედინაცვალი“

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

### ტრაგი-კომიკური „სამანიშვილის დედინაცვალში“

„სამანიშვილის დედინაცვალის“ მთავარი პერსონაჟის, პლატონის აფორიაქებული სულის მოძრაობას ისე აღწერს მწერალი, რომ თუ ამ ციტატებს ცალკე ამოვწერთ და გვერდიგვერდ დავალაგებთ, წარმოგვიდგება კაცი, რომელიც თავისი უსაშველო კაეშნით ლამის ოიდიპოსისა და ჰამლეტის ტრაგიზმს აჭარბებს...

„გამწარებული ყმაწვილი კაცის გულში ცეცხლი ტრიალებდა, მისი ტვინი წისქვილის ბორბალივით მოუსვენრად ბრუნავდა“...

მერედა რისთვის? თუმცა ჯერ მისი აწეწილი სულის უფრო სრულყოფილი სურათი წარმოვიდგინოთ.

პლატონი „ცხადად ხედავს თავისი უბედურების მომასწავებელ ნიშანს და ამ მოულოდნელ უბედურების წინ წამდგარს, ენაც ერთმევა, გონებაც ეკარგება, სისხლიც უშრება...“

უბედურების შეგრძნებას სულით-ხორცამდე ისე მოუცავს მისი არსება, რომ სიზმარშიც არ სტოვებს საშინელი განცდები.

არ ესმის თავის ხმა პლატონს, თუმცა ყვირის, რაც ღონე აქვს. ხმა პირიდან არ ამოსდის. იქვე, გულში რჩება ულონო, სუსტი, გაუგონარი, და ეს უმატებს გამწარებას, უფრო უკლავს გულს, უხუთავს სულს, უმწვერვალესად აღელვებული კაცის თვალწინ ყოველივე აირია, აიშალა, ამოძრავდა: აცახცახებული, ათრთოლებული ძლივს დგას ფეხზე. ეს რაღა ამბავია?! რა არის ეს?! რა ამბავი ხდება დღეს ამ სახლში, ვინ შერება ამას?“

რისთვის-მეთქი, ეს ყველაფერი, რა უბედურება დასტყდომია თავს ასეთი პლატონ სამანიშვილს?

მომხდური მიეჭრა და ოჯახის ნამუსი შეუგინა? – არა.

გადაწვეს, გადაბუგეს თუ თავად ხდიან ტანჯვა-წამებაში სულს? – არც ერთი ყოფილა, არც მეორე და არც მესამე.

იქნებ მსოფლიო და კაცობრიული სევდა აწუხებს და ვეღარ პოულობს ვერსად ადგილს? – გაგიგონიათ?!

მაშ რა უხუთავს სულს, რას გაუმწარებია და აუღელვებია ასე „უმწვერვალესად?“

იქნებ ქალი „შეიჭრა“ მის ცხოვრებაში და უიმედოდ შეყვარებულს სიცოცხლე სატანჯველად ექცა?

იქნებ სიკვდილმა წაჰგვარა ოჯახის მამას პატარა და ზვავივით მიასკდა უბედურება მის დაწყევლილ ყოფას? – არა.

არადა, უმიზეზოდაც არ არის გადარეული ეს ჩვენი პლატონი. საფუძველი კი ის გახლავთ, რომ ღმერთმა მის დედინაცვალს შვილი, ხოლო თავად პლატონს ძმა უნდა აჩუქოს (?)

კი არ წაჰგვარა ოჯახს პატარა, არამედ მოუვლინა ახალი სიცოცხლე. ეს ბედნიერება კი პლატონის უბედურების პირობაა, ვინაიდან იგი ახლადმოვლენილ არსებაში ადგილის მოწილეს ხედავს მზისქვეშეთში.

ახლა კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ, ზემოთმოხმობილი ციტატების მიხედვით, რა დღეშია პლატონ სამანიშვილი, რა უმწვერვალესია მისი ტანჯვა და ამ ტანჯვის მიზეზზეც რომ დავფიქრდებით, გამოიკვეთება სურათი ტრაგი-კომედიისა. სწორედაც შეგვეცოდებოდათ პლატონი, თვით ამბავი სასაცილო რომ არ ყოფილიყო-იტყვის ავტორი.

ერთი სიტყვით, ამ სიუჟეტით ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. ის, რაც ჩვეულებისამებრ ბედნიერებაა, პლატონისთვის უბედურება გახლავთ.

ის, რაც ჩვეულებისამებრ უბედურებად ითვლება, პლატონი და მის დღეში მყოფი, მისი ალი-კვალი მეზობლები, ბედნიერებად თვლიან, მაგალითად, ხალხის შემცირებას, გამეჩხერებას, გნებავთ სათანადო დოზით გაწყვეტას...

ვინ არიან ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი არსებანი? იკითხავთ თქვენ და პარადოქსი ის არის, რომ სინამდვილეში არც კაცთმოძულენი გახლავან და არც ჭკუაზედ აფრაკად მყოფნი (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ერთი შეხედვით, დავითი თითქოს საგანგებოდ ეძებს კომიკურ სიტუაციებს, რათა თავის პერსონაჟთა აუტანელი ყოფა საკითხავად ასატანი გახადოს მკითხველისათვის, მაგრამ ეს სიტუაციები იმდენად ბუნებრივად იბადებიან კლდიაშვილის გმირების ხასიათებიდან და მათივე მიზნებიდან გამომდინარე, რომ ძნელია დაადგინოთ ზღვარი, სად მთავრდება ტრაგიზმი და საიდან იწყება კომიკური, სასაცილო ამა თუ იმ პერსონაჟის ქმედებისას.

ბეკინა სამანიშვილმა, ცოლის – მარიკას დაღუპვის შემდეგ ითმინა, ითმინა, მაგრამ თავიდან ვეღარ ამოიგდო ფარსაგი აზრი ახალი ცოლის თხოვისა. „არა... არ შეიძლება, რომ ეწყინოთ!.. მე რომ იმათ ვუყვარვარ!..“ – ასე ფიქრობდა ბეკინა, როცა ვაჟიშვილი პლატონი და რძალი მელანო გაახსენდებოდა ხოლმე თავის გაზრახვაზე საკუთარ თავთან მსჯელობის დროს.

მოხუცმა, როგორც იქნა, გულისნადები გაანდო შვილს, მაგრამ ნახეთ როგორი კომიკური სიტუაცია იქმნება:

არ შეიძლება, რომ ეწყინოთო – ამ ფიქრით უფრო თავს იმშვიდებდა ბეკინა, თორემ მშვენივრად ხედებოდა, რა სიამოვნებითაც შეხვდებოდნენ შვილი და რძალი ბერიკაცის გულისთქმის გამჟღავნებას. ხვდებოდა და ამიტომაც კაცი, მოციქული მიუგზავნა პლატონს: ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ მამა და შვილი. ახლა ის სურათი გავიაზროთ, მოხუცი მამა რომ კერიასთან ზის თავჩაღუნული, ხოლო მოციქული შვილს ბერიკაცის გულისფვეთქვის ამბავს უხსნის ან გარეთ მომლოდინე, აწრიალებული ბეკინა წარმოვიდგინოთ შემდგომი მოვლენებით. ახალი ამბის მოსმენით გამწარებული შვილი რომ შუაკაცს გამოასწრებს გარეთ და აღშფოთებულ-სასოწარკვეთილი ჩასძახის მოხუცს: „მღუპავ, მამა? მღუპავ? დანას მიყრი ყელში?“

მოხდა ისე, რომ პლატონმა საკუთარი ხელით გალესა საკუთარ ყელში გამოსასმელი დანა, მის მიერ იძულებით გადადგმული ნაბიჯი მისი ტრაგი-კომიკური თავგადასავლის მიზეზად იქცა.

ზემოთ ვთქვით, ტრაგი-კომიკური სიტუაციები ბუნებრივად იბადებიან კლდიაშვილის გმირების ხასიათებიდან და მათივე მიზნებიდან გამომდინარე. პლატონის მიზანი გასაგებია. სიღარიბეში ხდება სული, ცოლ-შვილს საკმარისი ლუკმა არა აქვს და თუ ბეკინას შვილი ეყოლება, თანაც ვაჟი, მაშინ მას მიწას გაუყოფენ. „ქონება“ ორად გადანაწილდება, ამიტომ რაკი ბერიკაცს განზრახვაზე ხელი ვერ აალებინა, რადაც უნდა დაუჯდეს, ისეთი სადედინაცვლოს პოვნაა საჭირო, გარანტირებულად უშვილძირო რომ იქნება. და ეძებს პლატონი ორნაქმარევ, უშვილო მანდილოსანს, რომელიც იმავდროულად ოჯახში შესაშვები და თანაც სახეყირმიზა თუ არა, ჯოჯოხეთის მაშხალაც არ იქნება.

პლატონის ბუნებრივი, გარემოებით ნაკარნახევი მიზანი ბუნებრივად ქმნის კომიკურ სიტუაციებს მთელი თანმხლები პერიპეტიებით.

როგორ გინდა მიადგე ამა თუ იმ ოჯახს და აუხსნა, – ორნაქმარევი, უნაყოფო ქალი ხომ არ გყავთ შინ ან ახლომახლო ხომ არ გეგულებათ ასეთი საპატარძლო დედაბერიო.

ხასიათებიდან გამომდინარე, ბუნებრივად შექმნილი კომიკური სიტუაციები ხომ ურიცხვია კლდიაშვილის თხზულებებში.

აზნაური სამანიშვილის ქონება, მართალია, ვირის კურტანს აეკიდება, მაგრამ კეთილშობილი სისხლი უჩქრიალებს ძარღვებში და მთელი დუნიის დასანახად როგორ იკადრებს, თავის სასახელო წინაპართა შთამომავალმა ფეხდაფეხ შემოიაროს იმერეთის მთებსა და ბორცვებზე შეფენილი სოფლები.

ითხოვა ცხენი, მაგრამ რად გინდა, საამქვეყნო ცხენს აღარაფერი ეტყობოდა და თავის გამობუსკულ თეძოებს ძლივს დაალასლასებდა. ზურგიც სულ გადატყაული ჰქონდა იმ შეჩვენებულ პირუტყვს, მაგრამ პლატონს ადვოკატი ივანე გვერდევანიძე დაემგზავრა. ცხენიც ლამის პლატონის კუდაბზიკობას შეეწირა. გადააჯდა მხედარი და პატრონცხენმა მანამდე სტანჯეს ერთმანეთი, ვიდრე გვერდევანიძე არ ჩამოშორდათ გზაგასაყართან.

ის იყო არაქათგამოლეულ „ბედაურს“ შელავათი მისცა მხედარმა, რომ მისი სიძის კირილე მიმინოშვილის სახლიც გამოჩნდა, საითკენაც პლატონი ეშურებოდა. რა ექნა კეთილშობილ აზნაურს, ისევ ცხენით უნდა შეჯირითებულიყო ეზოში...

მწერალი განუმეორებელ სურათს გვიხატავს თავმოყვარეობით გატანჯული კაცისა და ამ კაცით გატანჯული ცხენის ერთად „მგზავრობიდან“.

„შელავათმიცემული ცხენი მისუსტებული, აძიგძიგებული ნაბიჯით აპოლიკდა ქვებიან ბრეკზე და რაც შეეძლო, რაც ღონე ჰქონდა შერჩენილი, მიჩანჩალებდა და ცდილობდა, უკან ჩამოეტოვებინა თავისი ჩამოქვეითებული მხედარი, რომ მტკივან ზურგზე არ შესკუპებოდა ხელახლად. რამდენსამე მანძილზე კიდევაც აუსრულდა წადილი გასაჭირში ჩავარდნილ პირუტყვს, მაგრამ ბოლოს პლატონი მაინც დაეწია, გააჩერა და მარდად მოახტა ზურგზე. ამ კაცმა თავის თავმოყვარეობის დაცვა ამჯობინა მის შებრალებას და სიძის ჭიშკრამდის ამხედრებული მივიდა“.

ძველი, არისტოკრატიული ჩვევები, რაკი ახალ დროში აზნაურთა სიძლიერეს ყავლი გასვლია, პირდაპირ ანეკდოტურ სიტუაციაში აგდებს მათ. თუმცა დაკარგულის კომპენსაციას დავითის გმირები „ახერხებენ“ და ამას ჩადიან ისეთი მეთოდით, რომლითაც მთლად სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს. მათი ცხოვრების წესისათვის ტრაბახი ქცეულა აუცილებელ ატრიბუტად.

### ესთეტიური უდარდელობა ანუ სიბრძნე კვეხნისა და ბაქიობისა

თქვენ გახსოვთ ეს უცნაური სინტაგმა – სიბრძნე სიცრუისა. სიცრუე, რა თქმა უნდა, არანაირ კავშირში სიბრძნესთან არ გახლავთ, პირიქით, სიცრუე ბოლოს თავს იჩენს, ყოველი დაფარული ბოლოს მაინც გაცხადდების. სიცრუე ავნებს სულსაც და ხორცსაც. ეს საუკუნეებში გამოტარებული სენტენციები გახლავთ. ცხადია, სულხან-საბა ორბელიანის – „სიბრძნე სიცრუისას“ – ამ სინტაგმაში სიცრუე არაპირდაპირი მნიშვნელობით, ფიგურალურად გამოიყენება. სიბრძნე სიცრუის ანუ სიბრძნე გამოგონილი ამბებისაო. ანუ იგავად მითქვამს და ნათქვამში რეალური, მართალი ამბავი ამოიკითხეთო. ჩვენ კი პირდაპირი მნიშვნელობით მოვიხმეთ აღნიშნული ქვესათაური. დიახ, კლდიაშვილის გმირების კვეხნასა და ბაქიაობას, ტრაბახს თავისებური სიბრძნეც უდევს საფუძვლად, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მათი ტრაბახის მიზეზი მათივე ხასიათი და ამპარტავნებაა, რაკი არსებულსა და შესაძლებელს შორის დიდი ზღვარია. მათ კი არსებული არ მოსწონთ და შესაძლებელი ეოცნებებათ.. „იძულებულნი“ არიან კვეხნა-ტრაბახით შეავსონ უფსკრული რეალურსა და სასურველს შორის. ზოგჯერ კი ისე შორს მიდიან, თავადვე სჯერათ ის, რის შესახებაც ტრაბახობენ. ბეკინა ასე მოძღვრავს შვილსა და რძალს: „ღმერთმა იცის და ყველა ხედავს, რომ არა გიჭირთ-რა: მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა. წყალიც, სახლიც, კარიც... ტყეც და ველიც! (ეს კი მეტი წამოსცდა ბეკინას – ტყე სრულიად არა ჰქონებია).

არისტო რომ არისტოა, ქვაშავიძე, მართლა შავ დღეზე გაჩენილი და ადამივით სასირცხოზე ლამის ფოთოლაფარებული, ისიც კი სხვის სიღარიბეზე ლაპარაკობს ერთობ ამაყად.

არაფერს ვამბობთ კირილე მიმინაშვილზე, რომელთანაც მსოფლიო ლიტერატურის ყველა ჭკუამხიარული პერსონაჟი მოწაფედ გამოდგებოდა, ხოლო მამის დანატოვარი რაკი სხვაზე მეტი, საერთოდ კი ცოტაოდენი რამ გააჩნია, კვეხნა-ბაქიაობაში ტოლს ვერავინ დაუდებს.

ყველაფერი ზემოთქმულის მიუხედავად, კლდიაშვილის პერსონაჟთა ტრაბახს თავისებური სიბრძნეც უდევს საფუძვლად, რომელიც სრულად წარმოაჩენს ამ ადამიანების ყოფის ტრაგიზმს და რომელიც პლატონის პირით ასეა გაცხადებული: „თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ!.. ნამეტან უსაშუალობაში ვართ ჩავარდნილი და გასაკვირალია, რომ კიდევ ასე ხალისიანად ვართ, არაფრად ვაგდებთ ყველაფერს, არხეინად ვართ და იმას კი აღარ ვფიქრობთ, თუ რა მოგველის წინ... რას გვიპირობს მამაზეციერი!.. მარა თავს თუ არ მივეძალეთ, გული თუ არ შევიმაგრეთ, სულ წავხდებით, ბატონო, სულ ერთიანად და ის იქნება!“

ერთი სიტყვით, მთლად ისეც არ ყოფილა საქმე, ერთი ქართული ანდაზა რომ ამბობს, – გადარეულისათვის ნიადაგ ლხინიაო. ქართველი კაცი, გასაჭირის დროსაც ხალისიანი, ერთი შეხედვით ყოფილა მხოლოდ ხალისიანი და უდარდელი, თორემ კაეშანმოძალებულ მის ფიქრს და ზრახვას ზოგჯერ ნიღბად, გნებავთ თავდაცვის საშუალებად სჭირდება „ესთეტიური უდარდელობის“ ის გრძნობა, რომლითაც გული თუ არ შევიმაგრეთ, ბატონო, სამანიშვილისა არ იყოს, სულ წავხდებით..

ესეც ერთი დასკვნა კლდიაშვილის პერსონაჟთა და იქნებ ჩვენი ტრაგი-კომიკური ყოფის შესახებაც.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №25

# აქა ამბავი იმისა, თუ როგორ შეაკლა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანს თავი საიათნოვამ, რომელიც 1801 წელს ბუნებრივი სიკვდილით მიცვალებულა?!.

მესამე გვერდიდან

წიგნი – „საიათნოვა – ლეგენდები და სინამდვილე", თბ., 1990 წ.) საიათნოვას „ხალხთა მეგობრობის" მედროშის ტიტული უბოძეს, მაგრამ, მიუხედავად დიდი სურვილისა, საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს. ამ ყურით მოთრეული ტყუილის სიმართლედ გასაღების მცდელობას წინ აღუდგნენ აკადემიკოსები კ.კეკელიძე, ალ.ბარამიძე, სომხეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეონ მელიქსეთ-ბეგი და სხვები, თუმცა თავიანთი ბატონობის ბოლო წლებში (ახლა ძნელი სათქმელია, რომელი მხარის ინიციატივით – სომხურისა თუ ქართულის) თბილისში, ისევ „ხალხთა მეგობრობის" ლოზუნგით მაინც დაიწყეს „აღა-მაჰმად-ხანის ჯარებთან ბრძოლაში დაცემული საიათნოვას მოსაგონარი დღეების" გამართვა.

მე, რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს რომელიმე მრგვალი თარიღის დადგომისას საიათნოვას ხსოვნის დღეები ისევ აღვნიშნოთ, როგორც აქამდე აღვნიშნავდით. მაგრამ ვერ გამიგია, როდემდე უნდა მივყვეთ კომუნისტ იდეოლოგთა მიერ „შემოგდებულ" მოკლეფეხებიან სიცრუეზე დამყარებული ტრადიციის ინერციას, როდემდე შეიძლება ხალხს, რომელმაც შესანიშნავად იცის ისტორიული სიმართლე, ვუმტკიცოთ, რომ 1801 წელს ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილმა მოხუცმა საიათნოვამ ხუთი წლით ადრე, 1795 წელს, „გმირულად შეაკლა თავი" საქართველოს დედაქალაქში შემოჭრილ მტერს?!

უეჭველია, საიათნოვას „გმირობის" ლეგენდა მას შემდეგ მოიფიქრეს, რაც ცნობილი გახდა თბილისს შემოსეული აღა-მაჰმად-ხანის ჯარების მეგზურთა – ორი ყარაბაღელი სომხის – ვინაობა. საჭირო იყო ამ სისაძაგლის ჩამდენთა ქმედების გაბათილება იმავე ხალხის სხვა შვილის „გმირობით". ჰოდა, ვინ იცის, დროთა დინებამ ბაგრამიანელთა მხეცობის გამაქარწყლებელი გმირიც დაგვიბადოს და მისი ძეგლის გარშემო „გიჟ ვრაცუათა" მიტინგები გვამართვინოს.

ჩვენ ყველაფერი უნდა ვაკეთოთ იმისათვის, რომ ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობა სიმართლესა და ურთიერთნდობაზე დამყარებულ მშვიდობიან საფუძველს დავაყრდნოთ. საკამათო და სადავო საკითხები არა მიფუჩეჩებისა და აკრძალვის გზით, არამედ ჯანსაღი დისკუსიისა და ჭეშმარიტებისადმი პატივისცემის გზით მოვაგვაროთ.

ვფიქრობ, საჭიროა, სიცრუესა და გამონაგონზე დამყარებულ ტრადიციას, საიათნოვას ე.წ. საფლავის გარშემო შეკრება-მიტინგებს წერტილი უნდა დავუსვათ.

სამაგიეროდ აღვადგინოთ ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკის ფესტივალი, გავმართოთ ერთობლივი სიმპოზიუმ-სემინარები, სპორტული შეჯიბრება-ოლიმპიადები და გავფანტოთ ის ღრუბლები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში აფხაზეთში მცხოვრები სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეთა ერთი ჯგუფის ქმედების შედეგად ჩვენი ხალხების ურთიერთობის ცაზე გამოჩნდა.

ყოველგვარი მეგობრობის უპირველესი პირობა მხოლოდ სიმართლე და გულწრფელობაა, სიყალბეზე დაშენებული მეგობრობა დასანგრევადაა თავიდანვე გამიზნული. აკი ამბობს დიდი შოთა: „უმსგავსო საქმე ყოველი, მოკლეა მით ოხერია".

ალექსანდრე ფოცხიშვილი
პროფესორი

# „უანგარო" დახმარება „საწყალი" საქართველოსთვის

მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა ე.წ. „მონსანტოს პროექტის" განხილვა, რომელიც ითვალისწინებს გენური ინჟინერიის გზით მიღებული კარტოფილის შემოტანას საქართველოში. როგორც გაირკვა, პროექტის განხორციელებისათვის საპარტნიორო ფონდის მიერ გამოყოფილი ყოფილა 2 მლნ. ამერიკული დოლარი. მიღებულია გადაწყვეტილება კარტოფილის შემოტანისა და დარაიონების შესახებ. უნებლიედ ისეთი გრძნობა რჩება, თითქოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სავარგულების ფირმა ASDI-ს საცდელ პოლიგონად გადაქცევა სურს. ჯერ მარტო ჰიბრიდულ სიმინდის ჯიშებთან დაკავშირებული აურზაური რად ღირს? შემდეგ „უანგარო" დახმარებას „საწყალი" საქართველოსათვის, რომელსაც თურმე კოლორადოს ხოჭოს გამძლე საკუთარი კარტოფილის ჯიშები არ გააჩნია, გენური ინჟინერიის გზით მიღებული კარტოფილი წარმოადგენს. გასულ წელს შემოტანილი იქნა მისი სათესლე მასალა 150 ათასი ტონის ოდენობით, რაც 441 ათასი ლარი დაჯდა. მოსავალი ხომ მართლაც „ფანტასტიური" აღმოჩნდა – მან 600 ათასი ტონა შეადგინა (1X4- რაც საკმაოდ დაბლად ითვლება სპეციალისტების აზრით). მოსავლიანობის მაჩვენებლებს რომ თავი გავანებოთ, საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, სპეციალისტთა აზრით, აღნიშნული მცენარე კარტოფილი არ გახლავთ, იგი არის კარტოფილის მაგვარი მცენარე, რომლის მრავალწლოვანი გამოყენება საკვებ მასალად რა შედეგებს და ცვლილებებს მოუტანს ორგანიზმს, ჯერჯერობით კაცმა არ იცის. და ეს ხდება მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ეკოლოგიურად სუფთა ნატურალური პროდუქტის მოხმარებაზე გადადის.

კობა კიკნაძე

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

**მუხრან მაჭავარიანი** – მე სიტყვა არ მითხოვია, არც ახლა გთხოვთ, მაგრამ მინდა ქართველმა მწერლებმა იცოდნენ ჩემი პოზიცია.

მე არ ვიზიარებ თქვენს ფორმულირებას, არ მაკმაყოფილებს. მე ვუჭერ მხარს ა.ბაქრაძის წინადადებას და შემოვდივარ – ამ სახით ეყაროს კონსტიტუციას კენჭი (ხმები – სწორია!).

**მრ.აბაშიძე** – ნუ დაკარგავთ, ამხანაგებო, გონებას და ისეთ რამეს ნუ გაეაკეთებთ, რაც არ შეიძლება. მე შემოვიტანე წინადადება, გთხოვთ უყაროთ კენჭი ჩემს წინადადებას.

**გ.ასათიანი** – ახლა დაისვა საკითხი, რომ ჩვენ განვიხილოთ ის რედაქცია პრეზიდიუმმა, 18 კაცმა გუშინ რომ წარუდგინა საკონსტიტუციო კომისიას და იქნება დამატებითი შენიშვნები იყოს.

**ბერიძე** – თქვენი საუბრიდან ისე გავიგე, რომ ეს გადაწყვეტილია და ჩვენი ლაპარაკი ზედმეტია.

**მრ.აბაშიძე** – რა არის გადაწყვეტილი. იმიტომ მივედით, რომ ეს პუნქტი არის მიუღებელი, აქ არ არის დავა.

**კობერიძე** – სადაო თუ აღარ არის, დაიწეროს რესპუბლიკის...

**თავმჯდომარე** – ასეა სწორედ.

**ადგილიდან** – თქვენი წინადადება, ბატონო გრიგოლ, იმის შესახებ, რომ ის 7 თუ 8 პუნქტი, 3 თქვენს მიერ შემუშავებული და 4 აქ დამატებული, ჩაწერილია და წარედგინება. ამას კენჭისყრა არ უნდა? ზეგ რომ ამას არ მიიღებენ, მთელი მწერლობა შემოტრიალდება. ამიტომ ვუყაროთ კენჭი.

**თავმჯდომარე** – ბატონი გრიგოლი და ჩვენ რომ წავედით ცეკაში, ჩვენი სახით ჩვენ მწერლობის აზრი წავიღეთ. იქ ითქვა, რომ დღეს წყდება და იწერება ფურცელი საქართველოს მწერლობის ისტორიაში. ჩვენ ამ სახით, როგორც ჩვენ წარმოგიდგინეთ, მხარს ვუჭერთ და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ასე იქნება წარდგენილი – ნუთუ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ეს არ გასწორდება, ჩვენ ამას მხარს არ დავუჭერთ?

ამას კი ჩვენ მხარს ვუჭერთ, იმასაც ვითვალისწინებთ, რასაც თქვენ ამბობთ.

**მრ.აბაშიძე** – ჩვენ აქ კრებებზე ვლაპარაკობთ და ხშირად ის, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, არ მიდის იქ, სადაც წყდება საკითხი. ამიტომ გადავწყვიტეთ გავითვალისწინოთ ყველაფერი და გვეთქვა ცენტრალური კომიტეტისათვის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარისათვის, ეს იყო ქართველი მწერლობის უკანასკნელი სიტყვა. ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენ დავუჭერთ მხარს ამ გასწორებით და სხვანაირად არ დავუჭერთ მხარს (ხმაური).

ხმა ადგილიდან – მაშინ გამოვხატოთ ეს ჩვენს კონსტიტუციაში. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აღგვითქვა – ყველა ღონე, ყველა ცდა იქნება ამოწურული და მოგვცა სიტყვა, რომ არ დაიშურებს არაფერს).

**თ.დონჯაშვილი** – თქვენი გუშინდელი იქ ყოფნის შემდეგ, ალბათ უკვე მიიღო ღონისძიება. ეხლა თქვენ კიდევ ეს რომ მიიტანოთ, რასაც ჩვენ აქ ვაყენებთ, კიდევ რაღაცას შეასწორებს? არ იტყვის, გუშინ მოიტანეთ, დღეს კიდევ მოგაქვთო...

**მრ.აბაშიძე** – სანამ კონსტიტუცია არ იქნება დამტკიცებული უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ, მანამდე ყოველგვარი შესწორების შეტანა შეიძლება, ეს საკითხები, რაც აქ წამოიჭრა, არ არის უმთავრესი, უმთავრესი არის 75 მუხლი.

ჩვენ მოვითხოვთ, თუ ეს არ იქნება გასწორებული, ამოღებული იქნას.

**თავმჯდომარე** – ჩვენ ადრეც ვიყავით ცეკაში და ვთქვით – თუ ეს ასე იქნება, სულ არ გვინდა. კაკომ სთქვა, ზუსტად ასე ვუთხარით 18 კაცმა. ჩვენ არ ვუჭერთ კონსტიტუციის ამ მუხლს მხარს ამ მოსაზრებაზე.

**კ.იმედაშვილი** – თუ ყველაფერი დარჩება ისე, როგორც პროექტშია,, ჩვენ ვუჭერთ მხარს კონსტიტუციას?

**თავმჯდომარე** – არ ვუჭერთ.

**კ.იმედაშვილი** – ეს უნდა გაფორმდეს კენჭისყრით.

**თავმჯდომარე** – ეს არ არის კენჭისსაყრელი, ეხლა ოქმს წავიღებთ, რომ საერთო კრებამ დაადგინა... (დარბაზში ხმაურია).

**ს.ქეთელაური** – ეს ყველაფერი გავიგეთ, მაგრამ უმეტესობა ფიქრობს, როგორც მე –, მთელი ამ წლების მანძილზე ჩვენ ქართული ენით და ეროვნული სახით ვმონაწილეობდით ამ საერთო თანაცხოვრების ფერხულში და ახლა რა მოხდა, როგორ დაკარგა ქართულმა ენამ ის ფუნქცია; რომ დღეს არ იწოდება სახელმწიფო ენად, იმის გამო, რომ აქ ბევრი ერი ცხოვრობს, უნდა ფიქსირებული იყოს, რომ სახელმწიფო ენაა (ხმები – სწორია, სწორი!) ამიტომ მე მხარს ვუჭერ შემოსულ წინადადებას – ის ფორმულირება როგორც იყო დღევანდლამდე არსებულ კონსტიტუციაში, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და აქვე ენა სახელმწიფოებრივი ენის მნიშვნელობით, უნდა დარჩეს. აღდგეს ის ფორმულირება, რაც იყო დღემდე კონსტიტუციაში.

**მრ. აბაშიძე** – ის ფორმულირება, არ აღსდგება და არ ჩაიწერება „სახელმწიფოებრივი ენა"

**გაბრიჩიძე** – იმ ვარიანტში გაპარულია მეორე ნაწილი, რომ არ შეიძლება არც ერთი ენის პრივილეგირება. ამიტომ კარგი იქნებოდა ის მოთათბირება გუშინდელი მომხდარიყო ამ კრების შემდეგ.

**აბაშიძე** – ჩვენ ხვალ მივიტანთ ამ ოქმებს, კიდევ მოვეთათბირებით .და ვეტყვით, რომ აი აქ არის ქართველ მწერალთა გულწრფელი სიტყვა.

**ადგილიდან** – მაშინ 10 კაცი დავასახელოთ, რომელიც ამ რეზოლუციის პროექტს შეადგენს.

**კლდიაშვილი** – მე მხოლოდ მინდა ერთი რამ გკითხოთ კონსტიტუციის ერთ-ერთ მუხლზე და გავიმეორო. ამ მუხლში სწერია, რომ ეს (საქართველო) არის სუვერენული რესპუბლიკა და სუვერენულ რესპუბლიკას ენა არ უნდა ჰქონდეს (საერთო სიცილი).

**აბაშიძე** – უნდა ჰქონდეს და აქვს ენა, ძალიან კარგი ენა გვაქვს და ამ ენას არავინ შეელევა.

**კლდიაშვილი** – მე მგონია, ამოღებული რომ იქნას „სუვერენული", მაშინ აზრი ექნება.

**ადგილიდან** – მე ასე გავიგე – არ შეიძლება ჩაიწეროს სახელმწიფოებრივი ენა და შეიძლება ჩაიწეროს რესპუბლიკის ენა. რა განსხვავებაა (გ.აბაშიძე – არ არის განსხვავება). მაშინ რატომ არ შეიძლება სახელმწიფოებრივი დაიწეროს, თუ ამ ორი ტერმინის შინაარსი ერთი და იგივეა.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №4–25.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ქავთარაძის 26-ში, მე-5 სართული, ხუთსართულიან სახლში. საწყისი ფასი 13000 $ ტელ. 30-29-57

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, ვარკეთილის III მ/რ ნახევრად გარემონტებული. ფასი 6000 დოლარი ტელ. 66-70-58 თამრიკო

---

სასწრაფოდ იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 5 ოთახიანი მაღალჭერიანი, არატიპიური პროექტის სუფთა ბინა ქალაქის ცენტრში. საერთო ფართი 180 კვმ. ბინაშია ბუხარი. ლოჯი 22 კვმ გისოსებიანი 17 კვმ აივანი. 2 კაპიტალური სარდაფი 40+10, მანქანის სადგომი. ტელ. 36-71-51 ფასი საწყისი 75000 დოლარი

---

იყიდება 2 ოთახიანი გადაკეთებული სამად. ბინა თემქა III მ/რ-ში რემონტით. ფასი 7000 დოლარი ტელ. 99-43-98

---

ჩუღურეთის რ-ნში ტურგენევის ქუჩაზე იყიდება პრივატიზებული მაღალჭერიანი 3-75 (მ) 2 ოთახიანი 18+20 ბინა ლოჯით (19 კვმ) ტელეფონით, აგევეთი (გათბობა) ორ-სართულიან სახლში II სართულზე. შეიძლება დაშენდეს ოთახებიც. ტელ. 37-61-75 ნატო. ფასი 15000 დოლარი.

---

იყიდება 2 სართულიანი აგარაკი ავჭალაში 900 მეტრი ნაკვეთით 50 მსხმოიარე ხეხილით. ვაზის ტალავერით. ფასი 10000 ლარი ტელ. 22-51-96

---

იყიდება კერძო სახლი მეტრო 300 არაგველებთან, ეზოში რამოდენიმე ოთახით, ხეხილის ბაღით, სულ 700 კვმ წყალი და ელექტროენერგია მუდმივი, შეიძლება გაიყიდოს 350 კვმ სახლის ასაშენებლად. ფასი შეთანხმებით ტელ. 74-45-87 (პირველი დოლაბაურის ქუჩა №1).

---

იყიდება, ქირავდება (მაღაზია ან ოფისზე) ან იცვლება შედარებით პატარა ფართზე 2 ოთახიანი 60 კვმ + სამზარეულო + აბაზანა. სულ 80 კვმ ჭერი 5 მ. ფასი ყიდვის 40000 დოლარი, ქირის 700 დოლარი. ტელ. 93-50-52

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, იტალიურ ეზოში ორ სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. ეზოდან ცალკე სადარბაზო, მაღალჭერიანი, ოთახების ფართი 60 კვმ ტელეფონით, წინამძღვრიშვილის 182. ფასი 25000 დოლარი ტელ. 34-30-71

---

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა. ფართობია 75 კვმ მაღალჭერიანი. ფასი 18500$ ტელ. 35-45-21 დათო, მანანა. მის. წინამძღვრიშვილის 182 (ყოფილი კეცხოველის)

---

იყიდება იტალიური სტილის ორ-სართულიანი სახლის მე-2 სართულის III ოთახიანი იზოლირებული მაღალჭერიანი ბინა. ოთახების ფართი 60 კვ. მეტრია. ეზოდან ცალკე სადარბაზოა. ფასი 25000 დოლარი ტელ. 34-30-71

---

ვყიდი 5 ოთახიან ბინას სამსართულიანი აგურის შენობის მე-3 სართულზე. მთაწმინდაზე, ათარბეგოვის ქუჩაზე. ძველი რემონტით, კარგ მდგომარეობაში ტელ. 99-09-51

---

იყიდება 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართი 220 კვმ საბურთალოს ცენტრში, რემონტით, მანქანის სადგომით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

---

იყიდება სასწრაფოდ 4 ოთახიანი ბინა კარგად გარემონტებული ჩეხური პროექტის ნუცუბიძის IV მ/რ V სართულზე, ტელეფონით და ავტოსადგომით. ფასი 22000 დოლარი ტელ. 38-01-11

---

იყიდება 2 ოთახიანი ბინა გრიბოედოვის 15-ში თავისი სათავსოებით, ბინა მაღალჭერიანია, პარკეტით, სამზარეულო და აბაზანა კაფელში, ბინა გარემონტებულია. ფასი 15000 დოლარი ტელ. 93-73-48

## სხვადასხვა

ვისაც გსურთ ფორტეპიანოს აწყობა ან რესტავრაცია, დარეკეთ ტელეფონზე 61-70-06

---

იყიდება გაერთიანებული ქართული ბანკის აქციათა პაკეტი - 252 აქცია, ნომინალური ღირებულება 252 დოლარი და 10% წლიური დივიდენდით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 66-52-19 ზაზა

---

იყიდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ვავილოვი, მე-2 გამოშვება. 1949 წლიდან 1957-წლის ჩათვლით. 40 ტომი. ტელ. 95-08-41

---

დაჩქარებული მეთოდით შევასწავლით კოსმეტიკას. მის. ნაძალადევი, ცოტნე დადიანის 26 ტელ. 66-53-56

---

ფსიქოლოგიური ტესტების და ციფრობრივი ჰოროსკოპის დახმარებით შევისწავლით პიროვნულ თავისებურებებს მომავლის წინასწარმეტყველებისა. ფასი - 3 ლარი. ტელ. 99-79-26; 74-06-34

---

სასწრაფოდ იყიდება გინეკოლოგიური სავარძელი სრული აღჭურვილობით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 73-79-81 ვლადიმერ მოსიძე

## ავტომანქანა

იყიდება თეთრი ფერის „ბმვ - 316“ 1984 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში, ლუქით. ფასი 3000 დოლარი ტელ. 96-69-75

---

იყიდება „ტავრია“ 1990 წელს გამოშვებული, თეთრი ფერის, დისტანციური სიგნალიზაციით, კარების დისტანციური ჩამკეტით, მაგნიტოფონით. ფასი 1500 დოლარი, ტელ. 39-82-02 ნათია

## ქირავდება

ქირავდება დიდ დიღომში 1,5-იანი იზოლირებული ბინა რკინის კარებით, ავეჯით, ჯამ-ჭურჭლით, მაციერით 16 სართულიანი სახლის მე-12 სართულზე. ფასი 70 ლარი. ტელ. 51-53-29. მისამართი: მეტრო „დიდუბე“, დიღმის მასივი II კვ 16 კორპ. I სართული, 14 საათიდან.

---

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა, საბურთალოზე, I სართული, ოფისებისთვის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-83-18

## მილოცვები

ზაზა ძურხულს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

მეგობრები. იაგოს ბარდა.


**ბუღალტერთა და ბუღალტერიით**

***დაინტერესებულთა საყურადღებოდ!***

***თუ გსურთ:***

- ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლოთ საბუღალტრო აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე საკითხებს;
- მოისმინოთ ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ამერიკის შეერთებულ შტატებში სერტიფიცირებულ პროფესორ-მასწავლებელთა ლექცია-სემინარები;
- დაზოგოთ დრო და ისწავლოთ ქალაქის ცენტრში.

***მიმართეთ:***

აკად.პაატა გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტთან არსებულ ბუღალტერთა გადამზადების ცენტრს, სადაც სპეციალისტთა მომზადება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: *1) საბუღალტრო აღრიცხვა და ეკონომიკური ანალიზი შიდა ბაზარზე; 2) საბუღალტრო აღრიცხვა და ეკონომიკური ანალიზი საერთაშორისო ბიზნესში.*

**სწავლის ხანგრძლივობაა 3 თვე. კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს.**

*მსურველები წარმოადგენენ შემდეგ დოკუმენტებს:* 1) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; 2) ფოტოსურათი 3/4 - 2 ცალი. საბუთები მიიღება 6 მარტიდან 1 აპრილამდე. ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 13.00 სთ-იდან 17 საათამდე, სწავლა დაიწყება 1 აპრილს.

ცენტრის მისამართია: თბილისი. „თავისუფლების მოედანი“, პუშკინის ქ.№5, ოთახები №507, №301.

ტელ: 99-60-20; 93-36-93; 99-59-09.



**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.

მსმენელთა განკარგულებაშია IBM- ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები 80486 პროცესორით, პროგრამული საშუალებები (MS DOS, Norton Commander, Windows, Word Excel და სხვა) და მეთოდური ლიტერატურა.

თქვენ შეისწავლით MS Officce პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში.

**კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერთიფიკატს**

*მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე).*

*29-48-61; 29-48-60, 23-53-17 ფაქსი: 29-49-61*



**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

**დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41**


## რა, როდის და რომელ არხზე

### 17 მარტი, ორშაბათი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე“. „ორშაბათი მძიმე დღეა“. „ექიმის მოსვლამდე“. „50/50“. 20.00 „მოამბე“. 20.35 „ვიდეოპატრული 02“. 20.40 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. პროგრამა „დღე. 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი“ (რუსულ ენაზე). რამპა. 22.30 ქართული მხატვრული ფილმი „მოკვეთილი“. 23.50 „ქეიშის საათი“.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“. 19.20 მულტფილმები, სპორტული ესტაფეტა (გასული კვირის მსოფლიო სპორტის მნიშვნელოვანი ინფორმაციები). 21.30 „ინფორმაცია მეორე არხი“, რეკლამა. 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „შიშველი პისტოლეტი“ (მთ.როლში ლესლი ნილსენი). პროგრამის დასასრულს - მუსიკა.

**ОРТ** 17.00, 20.00, 1.30 ნოვოსტი. 17.20 მულტსერიალი. 17.45 მარათონი- 15. 17.55 მსოფლიო პრემიერა. 18.05 ვარსკვლავთსაათი. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები“. 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.20 „გოგონა, სახელად ბედი“. 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 გამოიცან მელოდია. 22.05 ვპოზნერის პროგრამა. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.40. გადაცემათა პროგრამა; 23.45 „პოლტერგეისტი“. 00.45 ვერცხლის ბუშტი. 1.40 მხატვრული ფილმი „უეჭველად მხოლოდ სიკვდილი მოდის“. 4.10 პრეს-ექსპრესი.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.30 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20 ტელემაღაზია. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო“. 10.55 ძვირფასო რედაქციავ.. 11.20, 12.55, 13.15 პროდუქცია - ფოსტით. 11.30 კარაოკე რუსულად. 12.05 „სანტა-ბარბარა“. 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05 რუსები. 14.20 პალიხა-14. 14.25 ავტოგრაფი. 15.45 ჯანმრთელობა. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მხატვრული ფილმი „ევდოკია“. 18.10 პეტერბურგული პორტრეტი. 18.25 ნოუ-ჰაუ. 18.50 ოჯახის ექიმი. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო“. 21.10 პულსი. 21.40 რუსები. 22.35 გაზაფხული-ზაფხული. 23.10 „სანტა-ბარბარა“. 00.05 ხვალის ამინდი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 ტელელატარია. 1.45 მორიგე ნაწილი. 2.00 ეროვნული თეატრალური ფესტივალი „ოქროს ნიღაბი“. 2.25 ბლოკ-ნოტი.

### 18 მარტი, სამშაბათი

**1** 8.00 „ალიონი“. 10.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია. 18.00 „მოამბე“. მესაკუთრე. XXI. 20.00 „მოამბე“. „ვიდეოპატრული 02“. „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. ლატარია მევათე. პროგრამა „დღე“. 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი“ (რუსულ ენაზე). ასპარეზი. TBC სტუდია გთავაზობთ. პროგრამის დასასრულს - ქეიშის საათი.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“. 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა „გოლი“. „პოდიუმი“. 21.30 „ინფორმაცია მეორე არხი“. რეკლამა. 22.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „სამი მუშკეტერი“ (პაროდია, მთ.როლებში: დონ ამიჩე და ძმები რიტზები)..

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.35 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი“. 12.45 სმეხო-პანორამა. 13.20 მულტფილმი. 13.30 გამოიცან მელოდია. 14.15 კინოაფიშა. 14.20 მხიარულთა და საზრიანთა კლუბი-97. 16.15 დაკარგულის ძიებაში. 16.55, 23.40, 2.40 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 კვარიეტე „მხიარული კამპანია“. 17.55 მულტიტროლია. 18.15 ჯადოსნური სამყარო, ანუ სინემა. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები“. 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.20 „გოგონა, სახელად ბედი“. 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 გამოიცან მელოდია. 22.00 თემა. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „მათ მხოლოდ სახით სცნობდნენ“. 1.45 50/50. 2.30 პრეს-ექსპრესი. 2.45 „კრეკერის მეთოდი“.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტელესერიალი „ხენდრო“. 10.40 ძვირფასო რედაქციავ.. 11.05 ცხოველთა სამყაროში. 11.30 მულტფილმი. 11.50 ანშლაგი წარმოგიდგენთ.. 12.15 „სანტა-ბარბარა“. 13.15 მულტფილმი. 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05 რუსები. 16.20 მხატვრული ფილმი „სნაიპერი“. 18.00 დოკუმენტური ფილმი „იოჰან შტრაუსი“. 18.25 მანეკენი. 18.30 თქვენი უფლება. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ-ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო“. 21.10 ჭეშმარიტების მომენტი. 21.40 რუსები. 22.35 ანშლაგი წარმოგიდგენთ.. 23.15 „სანტა-ბარბარა“. 00.10 ხვალის ამინდი. 00.15 საღამოს მშვიდობისა. 1.30 მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში, ტრანსლაცია შვეიცარიიდან. 2.45 ფიცხი ათეული. 3.40 პროდუქცია - ფოსტით. 3.50 ტელემაღაზია.

### 19 მარტი, ოთხშაბათი

**1** 8.00 „ალიონი“. 10.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია. 18.00 „მოამბე“. მრავალთათვის საკვთილოდ. 50/50. 20.00 „მოამბე“. „ვიდეოპატრული 02“. 20.45 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. პროგრამა „დღე“. 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი“ (რუსულ ენაზე). „პანორამა“. პროგრამის დასასრულს - ქეიშის საათი.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“. 19.20 მულტფილმები. სიყვარულის ისტორია. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“. 22.10 ქართული მხატვრული ფილმი „წარსული ზაფხული“. პროგრამის დასასრულს - მუსიკალური გადაცემა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 2.00 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი“. 12.05 თემა. 12.50 ცხოველთა სამყაროში. 13.30 გამოიცან მელოდია. 14.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კორტიკი“. 15.30 ისტორიის ბორბალი. 16.15 დაკარგულის ძიებაში. 16.55, 23.40 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 კაქტუსი და ლ. 17.55 დო-მი-სოლ. 18.15 ჯუნგლის ძახილი. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები“. 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.20 „გოგონა, სახელად ბედი“. 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 გამოიცან მელოდია. 22.05 ელდარ რიაზანოვის პარიზული საიდუმლოებანი. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 საესტრადო სიმღერების ფესტივალი სან-რემოში. 00.20, 2.30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. სამი მატჩის მიმოხილვა. 3.55 პრეს-ექსპრესი. 4.10. „კრეკერის მეთოდი“.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20, 3.35 ტელემაღაზია. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო“. 10.55 ძვირფასო რედაქციავ. 11.20, 12.55, 13.15, 3.25 პროდუქცია - ფოსტით. 11.30 გოროდოკი. 12.05 „სანტა-ბარბარა“. 13.25 საქმიანი რუსეთი; 14.05 რუსები. 14.20 ჭეშმარიტების მომენტი. 14.50 ექსპოვესტნიკი. 14.55 ავტოგრაფი. 15.00 „K-2“ წარმოგიდგენთ. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის საძებნელად“. 17.35 საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ასპარეზობებში (ტრანსლაცია პერმიდან). 18.00 კერძო კოლექცია. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 ცხოვრების წესი. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო“. 21.10 ახალი მეხუთე ბორბალი. 21.40 რუსები. 22.35 გოროდოკი. 23.15 „სანტა-ბარბარა“. 00.10 ხვალის ამინდი. 00.15 საღამო მშვიდობისა. 1.30 ადამის ვაშლი. 3.25 პროდუქცია - ფოსტით.

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ე

ებრელიძე – 20 (დუშეთი – 13; თბილისი – 7);
ეგეტაშვილი – 48 (თბილისი – 22; ლაგოდეხი – 12; რუსთავი – 10);
ეგიაშვილი – 38 (თბილისი – 31; გორი – 4; ახალციხე – 1);
ეგიდუნაშვილი – 21 (თელავი – 20; საგარეჯო – 1);
ედელაშვილი – 20 (საჩხერე – 6; თბილისი – 4; ბათუმი – 3);
ედიკაშვილი – 33 (გორი – 10; დუშეთი – 10; ბოლნისი – 6);
ედიშერიძე – 23 (ახმეტა – 6; დმანისი – 1; ზესტაფონი – 1);
ევანისელი – 34 (თბილისი – 21; ახალგორი – 3; კასპი – 10);
ეზეიშვილი – 35 (ჩოხატაური – 10; თბილისი – 7; ოზურგეთი – 6);
ეთერაშვილი – 36 (სიღნაღი – 19; თბილისი – 7; მცხეთა – 4);
ეკიზაშვილი – 36 (თბილისი – 25; რუსთავი – 2; ბათუმი – 1);
ელანდიაშვილი – 41 (ქარელი – 34; თბილისი – 2; ბორჯომი – 1);
ელგანდაშვილი – 41 (თბილისი – 10; გორი – 2; თიანეთი – 1);
ელგანდარაშვილი – 30 (თბილისი – 15; მცხეთა – 15);
ელიბაშვილი – 45 (თბილისი – 43; თელავი – 2);
ელიბოშვილი – 44 (ახმეტა – 30; თბილისი – 8; თელავი – 5);
ელიეშვილი – 34 (ბათუმი – 4; ოზურგეთი – 4; თბილისი – 2);
ელიზბარიშვილი – 23 (თბილისი – 15; ბათუმი – 2; ახმეტა – 2);
ელიზბარიძე – 35 (ახმეტა – 24; თბილისი – 10; თელავი – 1);
ელიკაური – 25 (თბილისი – 8; გორი – 7; თიანეთი – 5);
ელიკიშვილი – 20 (თბილისი – 19; საჩხერე – 1);
ელიშვილი – 20 (თბილისი – 6; ოზურგეთი – 6; მცხეთა – 5);
ელმეთაშვილი – 32 (საგარეჯო – 29; სიღნაღი – 3);
ელყანაშვილი – 49 (გორი – 14; დუშეთი – 12; მცხეთა – 11);
ელჩიბეგაშვილი – 21 (თბილისი – 11; ქარელი – 6; გორი – 1);
ემანულიძე – 24 (მცხეთა – 1; რუსთავი – 1; ქარელი – 22);
ემინაძე – 41 (ბათუმი – 9; ქობულეთი – 32);
ენუქიშვილი – 48 (თელავი – 21; ახმეტა – 12; თბილისი – 4);
ერაშვილი – 28 (გორი – 21; კასპი – 5; რუსთავი – 2);
ერბელიძე – 28 (ქუთაისი – 11; თბილისი – 2; ცაგერი – 15);
ერბოწონაშვილი – 42 (თბილისი – 11; საგარეჯო – 31);
ერეკლიშვილი – 23 (ახალციხე – 12; თბილისი – 8; ქუთაისი – 3);
ერიქაშვილი – 26 (თბილისი – 17; ქუთაისი – 9);
ესაიშვილი – 32 (თბილისი – 21; ქუთაისი – 11);
ესელიძე – 43 (ზუგდიდი – 20; თბილისი – 3; ბათუმი – 2);
ესეფიძე – 25 (ბათუმი – 6; სამტრედია – 1; ხელვაჩაური – 18);
ესტატეშვილი – 32 (დუშეთი – 20; თბილისი – 11; თელავი – 1);
ეფემიაშვილი – 27 (გურჯაანი – 15; თბილისი – 1; ყვარელი – 11);
ეფრემაშვილი – 32 (თბილისი – 13; ზუგდიდი – 8; ქარელი – 2);
ექსშაურაშვილი – 42 (მცხეთა – 30; თბილისი – 7; თელავი – 2);
ეცეტაძე – 32 (სამტრედია – 12; თბილისი – 11; ქუთაისი – 1);
ეხისკელაშვილი – 32 (თბილისი – 32);
ეჯიბიშვილი – 37 (თბილისი – 37).

# კაიფვორდი



თარაზულად: 5. ბუმბერაზი, რომელმაც „ათი გოლი“ გაიტანა; 6. ეროვნებით „ლაზი“ ჭადრაკის ფიგურა; 10. ის, რადაც ჩაითვლება ქალის მკერდი რძის ქარხანაში; 11. აბანოში სახმარი საფულე; 12. ჰაერის სფერო, რომელიც „ატმის“ ფორმისაა; 15. ამკრძალავი „ბუ“; 16. სევდა, რომელსაც „მელნით ჩაქოლვა“ იწვევს; 17. გასალაწუნებელი „ქეიშა“; 20. „ტონიანი ბარი“, რომელსაც სიმღერაში გამოიყენებენ; 21. „ადამი“, რომელიც „რალში“ გამოვიდა და ფლოტი ჩაიბარა; 22. „სამტონიანი“ ამფიბია (რუს.კავშ.); 25. „ზურა“, რომელიც „დამუხტვისას“ ძვირფას ქვად იქცევა; 27. „პრასიანი“ ჩოგბურთელი; 29. „პონების“ დასაბანი საშუალება; 30. ფართე „ხალიანი“ ხიდი; 34. „მწვანილისთავიანი“ ნემსი; 36. „ორზე“ გაყოფილი დაშიფრული ანბანი; 37. როგორი უნდა იყოს პოლიტიკური მაგიდა? 40. უჭკვიანესი „ოსი“; 41. რა აწყვეტინებს მეხანძრეებს დომინოს თამაშს; 42. „რატის“ სასუქი.

შვეულად: 1. დახვეული ქსოვილი, რომელსაც სანადიროდ იყენებენ; 2. „შემინული“ კოშკი, სადაც მოლები „მღერიან“; 3. ქართველი პარლამენტარის „ქოხი“ საზღვარგარეთ; 4. თმის „მასტიკა“; 7. „დაზაფრული“ ყვავილი; 8. ქალის ჩასაცმელი, რომლითაც ტარიელი „მარიაჟობდა“; 9. ყველაზე კეთილი დათვი (მულტ.); 13. „ჭადრაკიანი“ მანქანა; 14. „მაროს“ და „როკოს“ სახელმწიფო აფრიკაში; 15. „ნიჭიერი“ ფულის ერთეული ძველ რომში; 18. „ტუზი“, თუ „კანს“ დაეცა, საბედისწეროა ჯანმრთელობისთვის; 19. „ქაჯანა“ კახურ ქელეხში; 23. ქვემოთ დასაგები „ია“; 24. „ფონს“ გასული „სიმებით“ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები; 26. „დარში“ გამოსაყენებელი „ლოკატორი“; 28. ლექსში გამოსული „თმა“; 31. იაპონელების ატომით დაბომბილი „სიმებიანი“ ქალაქი; 32. ქალი, რომლისთვისაც მეფე ლუდოვიკო ყველაფერზე „თანახმა“ იყო (რუს.კავშ.); 33. „ქონიანი“ წევამდელი (რუს.კავშ.); 35. „ავი“ წყლის ტრანსპორტი; 37. ის, რაც ჭამაში მოდის; 38. „ომში“ გამოცდილი ცხოველი; 39. სიგრძის საზომი „ტრუბა“.

აკაკი ცოტაძე

### წინა კაიფვორდის პასუხები

თარაზულად: 1. სალოკი; 4. ლაბა; 7. მანდილი; 12. კომბინიზონი; 13. ლაქია; 14. ალფა. 15. პარიზი; 18. ფაშა; 20. ნაკელი; 24. ბორანი; 26. ქვაბი; 27. ზაირა. 28. ატილა; 30. კასტა; 32. აკორდი; 35. ფარა; 36. პილზა. 37. მამისონი; 43. გაერო; 44. დალაილამა; 46. ალოე. 47. რუსი; 49. კასანდრა; 51. კეაჭი; 52. ალონი; 54. ჰიდრა; 55. მერსედესი; 56. ქაწვეა; 57. ატაშე; 58. მეტრო; 59. საფარი.

შვეულად: 2. ლამფა; 3. კვიცი; 5. ალიანსი; 6. აზარფეშა; 8. არეალი; 9. დალალი; 10. ლაქი; 11. კომბლე; 16. რომი; 17. ზონა; 19. შარაფი; 21. კოზაკი; 22. ხალიფა; 23. სირანო; 25. მახარე; 28. არაკი; 29. მადა; 31. სეირი; 33. კია; 34. ამბორი; 35. ფირალი; 36. პერა; 38. მარსელი; 39. ოლარი; 40. კენკრა; 41. დარდანელი; 42. რონალდი. 45. ასპირინი; 48. ამარეტო. 50. აზარტი; 51. კრედო; 52. ანაშა.

● *სამიჯნურო ბარათები*

# ლუდვიგ ბეთჰოვენის ბარათები „უკვდავ სატრფოს“ – გრაფინია ჯულიეტა გუიკარდის

## დღეს სრულდება 170 წელი ლუდვიგ ბეთჰოვენის გარდაცვალებიდან

*ლ.ბეთჰოვენმა (1770–1827) ეს ბარათები 1801 წლის 6 და 7 ივლისს მისწერა თექვსმეტი წლის მზეთუნახავ ქალიშვილს, გრაფინია ჯულიეტა გუიკარდის. სახელგანთქმულმა კომპოზიტორმა მას მიუძღვნა ცნობილი სონატა* **Cismoll.** *სხვათაშორის, გრაფინია მაშინ უკვე დანიშნული გახლდათ გრაფ ჰალენბერგის მიერ.*

„ჩემო ანგელოზო და საუნჯევ ჩემო, ჩემო მეორე მევ! – დღეს მხოლოდ ორიოდ სიტყვას გწერ (თანაც, შენი ფანქრით). ხვალიდან ახალი ბინა უნდა ვეძებო. (ამისთვის მეცალა ახლა!..) რომ იცოდე, რა სევდიანი ვარ! თუმცა, მსხვერპლისა და თავგანწირვის გარეშე, მიჯნურობა სად გაგონილა!.. არადა, შენ სად შეგიძლია ისე მოაგვარო საქმე, ერთმანეთს ვეკუთვნოდეთ! ღვთის გულისათვის, თავს მიხედე, ინებიერე მაგ წარმტაც ბუნებაში, მოიკრიბე ძალა და დანებდი ბედს. სიყვარული ყველაფერს მოითხოვს, უფლებაც ყველაფერზე აქვს. ამას ჩვენ ორივე ერთნაირად ვგრძნობთ, მაგრამ მაინც – შენ მეტისმეტად იოლად იეიწყებ ხოლმე, მე რომ ორივესთვის უნდა ვიარსებო, შენთვისაც და ჩემთვისაც. ჩვენ რომ ერთხელ და სამუდამოდ შევერთებულიყავით, ორივე მოვისვენებდით.

აქეთობას საზიზღრად ვიმგზავრე. გუშინ, დილის ოთხ საათზე ძლივს ჩამოვაღწიე. ცხენების უკმარისობის გამო ფოსტა სხვა გზით წამოიღეს. საძაგელი გზა იყო. ბოლო სადგურში კი მირჩიეს ღამით მგზავრობას ერიდეთ, ამა და ამ ტყეში, შესაძლოა, ხიფათს გადაეყაროთ, მაგრამ, სხვათა შორის, ამან უფრო წამაქეზა!.. ისე, სიმართლე რომ ითქვას, არ ვიყავი სწორი – ეკიპაჟს იმ შარაგზაზე შეეძლო კისერი მოეტეხა. იღბლად, კარგი მეეტლეები შემხვდნენ, თორემ, მოსალოდნელი იყო, გზაში გავრჩენილიყავი. თუმცა, ესტარგეზიმ თუ ჩვეულებრივი გზით იმგზავრა, თანაც, რვაცხენიანი ეტლით, რა მოიგო? იმასაც გვარიანად უჯაყჯაყია, თუმცკი ჩვენსაში ოთხად ოთხი ცხენიება. მე კი, როგორც მჩვევია, იმდენი ჯახირის შემდეგ, ნამდვილ შვებასა ვგრძნობ. მაგრამ შევეშვათ ამეებს და ჩვენს საქმეს მივხედოთ.

იმედია, მალე შევხვდებით. მე არ შემიძლია გაგანდო – რა აზრებიც მიტრიალებს თავში!.. ჩვენი გულები რომ ერთმანეთს შერწყმოდნენ, ასეთ რამეებს, ალბათ, გულში არ გავივლებდი!.. გულში კი არა, სულში მიზიხარ, სულში, და მინდა სულ ამაზე გელაპარაკო. ახ, ჩემო კარგო, არის ხოლმე წუთები, როცა ენა გიჩლუნგდება. უწინდებურად მხნედ და მხიარულად იყავი, ჩემო უცვლელო და ერთადერთო სიყვარულო. მთავარია, ერთმანეთისათვის ვიყოთ! დანარჩენს უფალი იზრუნებს ჩვენზე.

შენი ერთგული ლუდვიგ.

1801 წელი, 6 ივლისი, ორშაბათი,. საღამო

„შენ იტანჯები, იტანჯები, ჩემო სულისთქმავ!.. ეტყობა, წერილები დილდილობით უნდა ვაგზავნო. ორშაბათი და ხუთშაბათი ერთადერთი დღეებია, როცა აქედან პირდაპირ კ–ში მოდის ფოსტა. შენ იტანჯები!.. ახ, სადაც მე ვარ, შენც იქა ხარ ვიცი რა, რომ ჩემი ხარ, იმდენს კი მოვახერხებ, რომ შევუღლდეთ აბა, მაშინ იქნება, თუ იქნება, ცხოვრება!!! დიახ!!! თორემ, უშენოდ ჩემს ულიმღამო ცხოვრებას რა აზრი ექნება!.. სხვების თანაგრძნობა კი მექნება თავსაყრად, მაგრამ, მხოლოდ თანაგრძნობას, ჩემი აზრით, არ ვიმსახურებ და არცა მაქვს სურვილი დავიმსახურო. ეს ამცირებს ადამიანის ღირსებას, რასაც ვერა და ვერ. ვიტან. ისე, გარედან თუ დავუკვირდები საკუთარ თავს, რას წარმოვადგენ მე სამყაროსთან მიმართებაში!.. რას წარმოადგენს თუნდაც ის, ვისაც ყველაზე გამოჩენილს ეძახიან? არაფერს და, ამაშია, ალბათ, ადამიანის ღვთიური ნაპერწკალი!.. იმის გაფიქრებაზე, რომ ჩემი ბარათი შაბათამდე ვერ მოაღწევს შენამდე, მეტირება პირდაპირ არა, არა, რაგინდ ძალუმად გიყვარდე, მე უფრო ძლიერ მიყვარხარ. იყავი ყოველთვის გულწრფელი ჩემთან. ღამე მშვიდობისა!.. აბაზანებით რომ ემკურნალობ, იძულებული ვარ დროულად დავიძინო (აქ სამი თუ ოთხი სიტყვა ისეა გადაშლილი ავტორის ხელით, აღდგენა ჭირს). ღმერთო ჩემო! ერთსა და იმავე დროს, ასე ახლოს და, თან ასე შორს გრძნობდე ერთმანეთისაგან თავს!.. ჩვენი სიყვარული ხომ ორთავეს უკიდეგანო ზეცაში გვანავარდებს და იგი ისევე უძიროა, როგორც ცის თაღი!“

7 ივლისი, 1801 წელი

„გამარჯობა!.. გაღვიძების უმალ ჩემი აზრები შენსკენ ილტვიან, ჩემო უკვდავო სიყვარულო!.. ხან სიხარული მეუფლება, ხან სევდა მიპყრობს იმის წარმოდგენით, თუ რას გვპირდება ბედისწერა!.. მე მხოლოდ შენს გვერდით ძალმიძს ცხოვრება, უშენოდ – არა!.. გადაწყვეტილი მაქვს, მანამ ვიხეტიალო აღმადაღმა შენგან შორს, სანამ არ დავრწმუნდები, რომ შემიძლია მოვფრინდე შენთან, ჩაგიკრა გულში და დავტკბე ამ განცხრობით!.. მანამდე კი სხვა გზა არაა. ასეა საჭირო. ვიცი, თანახმა იქნები, რადგან ეჭვს ვერ შეიტან ჩემს ერთგულებაში, რომ ვერასოდეს ვერავინ შეძლებს ჩემი გულის დასაკუთრებას! ვერასოდეს, ვერასოდეს. ღმერთო დიდებულო, რატომ უნდა მივატოვო ის, ვინც ასე მიყვარს!.. აქ, 3–ში ძნელად მეცხოვრება. შენი სიყვარულით, ერთსა და იმავე დროს, ბედნიერადაც ვგრძნობ თავს და უბედურადაც. კაცმა რომ თქვას, ჩემს ასაკს ერთგვარი ერთფეროვნება უფრო შეეფერება, ერთგვარი მდგრადობა, მაგრამ, ჩვენი ურთიერთობის ფონზე, ყოველივე ეს წარმოუდგენელია!.. ჩემო ანგელოზო, მხოლოდ ახლა გავიგე, ფოსტა, თურმე, ყოველდღე მოდის. ამიტომ სასწრაფოდ ვწყვეტ შენთან საუბარს, რომ მალე მოვიდეს ჩემი ბარათი. იცოდე, მშვიდად უნდა იყო. მხოლოდ სიმშვიდით ძალუძს ჩვენი მიზნის აღსრულება – ჩვენი ერთად ყოფნა!.. მშვიდად იყავი. მთავარია, დღესაც გიყვარდე, ხვალაც, სულ!.. გათანგული ვარ ენებიანი სურვილით – რაც შეძლება, მალე დაგინახო, შენ, შენ, ჩემო სიყვარულო (ნაწერი გაურკვეველია), ჩემო სულის დგმავ. მშვიდობით!.. უწინდებურად იფიქრე ჩემზე და არასოდეს დაეჭვდე შენი საყვარელი ლ–ს ერთგულებაში.

ორივენი მარად გიყვარდეს, შენი თავიც, ჩემიც“.

თარგმანა
ბიზო ზარნაძე


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444